წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 22 აპრილი 1916 წ. | № 89

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

## ახალ კლუბის დარბაზში
## ქარ. კულტ. მოყვ. საზოგად. თაოსნ.

კვირას, 24 აპრილს დავით კასრაძის მიერ წაკითხულ იქმნება ლექცია

## უხელო რაფაელნი და მათი „ცისფერი უანწები“.

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ფასები 1 მან., 50 კაპ., და 20 კაპ.
**დასაწყისი ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.**
ბილეთები ისყიდება „საქართველო“-ს რედაქციაში 9—3 ს.-მდე.

## გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო

აცხადებს ქართლის მეურნეთა საყურადღებოდ, რომ 23 აპრილს 12 ნახ. საათზე თვითმართველობის დარბაზში შესდგება

## არაჩვეულებრივი კრება

**განსახილველია შემდეგი საგნები:**
1. საბჭოს მოხსენება ერობის შემოღების შესახებ ჩვენში.
2. სამი პირის ამორჩევა საზოგადოებიდან ქართულ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში.
3. საზოგადოების ახალი წევრების ამორჩევა.
4. მორიგი საკითხები. (1-86-1)

## სახალხო სახლი

**ორშაბათს 25 აპრილს** ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ტრაღ. 5 მოქ. და 9 სურ. **ჰამლეტი** ვ. შექსპირისა, თარ. ივ. მაჩაბელისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ქიქოძე ანეტა, ბექანიშვილი ს., აბაშიძე ვასო, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., იაშნელი გ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., სარაული კ., კორიშელი პ., გვარაძე ნ., ვარვარიძე ვ., გედევანოვი გ.
**წარმოდგენის დასაწყისი სად. 8 ს.** — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. (3-87-1)

**გამართულია ხელის მოწერა**

## კიკნა-ფშაველის

**პოემების და ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და დ. კასრაძის კრიტიკული წერილით.**
**წიგნი ეღირება ათ შაურად.**

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

# მოდური მაღაზია
## მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—10)

## ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—21)

საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 20 აპრ. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. დვინსკის და იაკობშტადტის მიდამოებში მტერმა ზარბაზნის ცეცხლი გააჩინა. ვიძის და ტვერეჩის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ მტერი შეეცადა თხრილებიდან ამოსვლას, მაგრამ მალე შევაჩერეთ.

19 აპრილს, პოსტავის დაბის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. ანტონის მიდამოებში მტერმა ორჯელ წინ გამოიწია, მაგრამ უკუ ვაქციეთ.

ოგინის არხში და ბარანოვიჩის მიდამოებში ზარბაზნის სროლაა. ოჟიკას სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. იარმოლინცეს ჩრდილო დასავლეთის მიდამოში მტრის მფრინავი „ალბატროსი“ ჩამოვაგდეთ. მფრინავები დავატყვევეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ზემო ჭოროხში, ღამის შეტაკების შემდეგ, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა თვალსაჩინო უბანი მტრის სანგრებისა. ზღვის ნაპირებზე შევაჩერეთ მტრის რაზმების შემოტევა.

—

**პარიზი,** 19 აპრილი. ოფიციალი, საღამოს ცნობა. შამპანში, ვრონის ჩრდილოეთით, მარონვილეს მიდამოში მოხდა რამდენიმე აფეთქება, რასაც მოჰყვა ცეცხლის გაჩენა. მასიჟის ჩრდილოეთით; ჩვენმა ზარბაზნებმა დააზიანა მტრის ზარბაზნები. არგონებში გრძელდება სანაღმო ბრძოლა „285“ სიმაღლესთან, ოტშევოში და სხ. მდ: მაასის დასავლეთით ავოკურის და მორტჰომის მიდამოთა შორის მოხდა ზარბაზნებით ბრძოლა. ტიომინის ფერმის და დანიულუს შუა არტილერიის მოქმედება გართულდა. შოფურის ტყის ჩრდილოეთით და ვოს ტბის ჩრდილო-დასავლეთით ზარბაზნებით გავფანტეთ მტრის რაზმები. დანარჩენ ასპარეზზე სრული სიწყნარეა. დუომონის ჩრდილოეთით ერთი მფრინავი ჩამოვაგდეთ.

**პარიზი,** 20 აპრილი. ფრანგთა მთავარი ბანაკი. მდგომარეობა ვერდენთან. 10—17 აპრილის განმავლობაში მტერს აქტიური მოქმედება არ გამოუჩენია, მხოლოდ ავოკურის და მასსის შუა სანგრებს ყუმბარებს უშენდნენ 10 აპრილს, მორტჰომის ჩრდილოეთით, მტერი შეეცადა დაებრუნებინა თხრილები, შეტაკების დროს, სხვათა შორის, იხმარეს სითხე. 14 აპრილს მტერს სურდა გადმოსვლა ჩვენი თხრილებისკენ, მაგრამ შევაჩერეთ. ვილ-ობუას მიდამოში, 12 აპრილს, დავატყვევეთ 158 კაცი. შაპელოტტის და სან-დის ჩრდილოეთ მხარეს, მტერი დიდად დაზარალდა. ეხლა სჩანს, რომ გერმანელთა მესამე კორპუსი იმოქმედებს დომონთან. ეს კორპუსი მონაწილეობდა ომში 8 თებერვლიდან 2 მარტამდე და სამი მეოთხედის დანაკლისის შესავსებად გაიგზავნა ელზას-ლორენში. ტყვეების სიტყვით, კორპუსი შევსებულია, სხვათა შორის 60 პროცენტი ახლად გაწვეულია.

**ჰავრი,** 19 აპრილი, ბელგიელთა ცნობა. ზარბაზნებით ცხარე ბრძოლის შემდეგ, დიქსმიუდეს ჩრდილოეთით, იზერის აღმოსავლეთით, მტერი მოულოდნელად შემოესია და ხელთ იგდო სამი ჩვენი სადარაჯო, მაგრამ მალევე გავდევნეთ. დიქსმიუდეს მიდამოებში მთელი დღე გრძელდებოდა საარტილერიო ბრძოლა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი იტყობინება მზვერავთა გაძლერებას დვინის ასპარეზზე. მოწინაამდეგეს ძალიან ჰსურს, ოგინის არხის მიდამოებში გააუმჯობესოს თვისი მდგომარეობა. რაც შეეხება კუროპატკინის და ევერტის ჯართა ასპარეზს, იქ პატარ-პატარა ბრძოლა ხდება. დუბნოროვენნის მიდამოებში კი მოძრაობა გამოცოცხლდა. ნიადაგი საკმაოდ გაშრა და მოქმედებასაც აღარ აფერხებს. რიგის ასპარეზზე შეჰნიშნეს ახალი ტიპის ჰაეროპლანი. იგი სულ შავია, საათში 180 ვერსს გადის დიდი ქარიშხალიც ვერას აკლებს. „რუსკ. ვედ.“-ში კაჩანოვი სწერს: დვინის ასპარეზზე, გერმანელთა ჯარი ჩამოწვა როგორც ღრუბელი და ყოველ დღე, ყოველ საათს ახალის რისხვით გვემუქრება.

**ბარათოვი.**

ბაღდადის მიმართულებით, ბარათოვმა წინ წაიწია. მტერი დასწია დასავლეთით და ხელთ იგდო ნაწილი მტრის არტილერიისა. თურქების საქმე დიარბექირის მიმართულებაზედაც ვერ არის კარგად.

**ტრაპიზონი.**

კავკასიის ჯარის წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებული გოლუბიევი მოგვითხრობს: ოსმალთა ათი ჰოსპიტალი, რომლებიც ტრაპიზონში დაგვხვდა, სულ თავისუფალი იყო. დაჭრილი მეომრები მხოლოდ ორ ლაზარეთში დაგვხვდა. ოსმალთ აქ მხოლოდ 38 დაჭრილი და 24 ავადმყოფი კაცი დაეტოვებინად. ტრაპიზონში გადამდებ სნეულებით ავად არავინ ყოფილა. ლაზარეთები მშვენივრად მოწყობილია. აქ ჩვენ ლაზარეთის მოწყობილობა და მედიკამენტები ხელთ ვიგდეთ.

**გერმანეთი და შეერთებული შტატები.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ამ უკანასკნელ ხანს ბერლინი დამშვიდდა და იმედი აქვთ შტატებთან უთანხმოება თავიდან აიცილონ. პრინცი ჰენრიხი და კაიზერი ცდილობენ შეერთებულ შტატებთან განწყობილება გააუმჯობესონ.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ამერიკის ელჩი ჟერარი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ამერიკის ელჩმა ჟერარმა ბეტმან-ჰოლვეგი ინახულა, რის შემდეგაც სწრაფი დეპეშა გაგზავნა ვაშინგტონში. მაშინვე ხმა გავრცელდა, გერმანეთ-ამერიკის უთანხმოება მორიგებით გათავდაო.

ჰოლანდიიდან მოსულ ცნობებით ვგებულობთ, რომ გერმანეთი ყოველ ღონეს იღონებს უთანხმოების თავიდან ასაცდენად. თუმცა იმასაც ამბობენ, გერმანეთი ეცდება შეერთებულ შტატების შეკითხვაზე პასუხი დააგვიანოს როდემდისაც კი შესაძლებელიაო.

**გრაფ რევენტლოვის აზრი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გრაფი რევენტლოვი, რომელსაც შეერთებულ შტატებთან ომი სრულიად არ აშინებდა და სიბავშვედ სთვლიდა, ეხლა „Tages Zeitung“-ში სწერს: სასურველია კეთილი განწყობილება ვიქონიოთ შეერთებულ შტატებთან და ომი თავიდან ავიცდინოთ, თუ კი ეს გერმანეთის ღირსებას არ შებღალავსო.

**საბერძნეთი.**

„ნოვ. ვრ.“-ს ათინიდან ატყობინებენ საბერძნეთმა თავის მიწა-წყალზე არ გაატარა სერბიელთა ჯარი და ამით გამოაშკარავა თავისი დამოკიდებულება გერმანეთისადმი.

ბერლინში დაჟინებით ამბობენ, ათინაში საალყო წესებია გამოცხადებული, რადგანაც ვენიზელოსის აგიტაცია გაძლიერდაო.

**ირლანდიაში.**

ირლანდიაში ამბოხება მიყუჩდა თითქმის ყველა მეამბოხენი წინამძღოლებითურთ დაჰნებდნენ.

**ზავი და ასკვიტი.**

ასკვიტს პალატაში განუცხადებია, ტყუილია ბულგარეთთან ზავის ჩამოგდების შესახებ ლაპარაკი, რადგანაც ინგლისი შეკავშირებულია სახელმწიფებთან 1915 წ. 5 ენკენ. დეკლარაციით, რომლის ძალით არც ერთს სახელმწიფოს სხვების დაუკითხავად ნება არა აქვს ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს.

**ბალკანეთი.**

სარწმუნო წყაროების მიხედვით, ბალკანეთის საქმეს ვერდენთან მოქმედება გარდასწყვეტს.

**ბულგარეთი და ოსმალები.**

ბოლო დროს, ვარნაში ბულგარელებმა სომხეთა ეკლესია გაჩხრიკეს და ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. ეძებდნენ იარაღს და ყუმბარებს. სამი კაცი შეიპყრეს.

**ჩინეთში.**

ჩინეთის რევოლიუციონერთა გამგეობის უწყებით იუანშიკაიმ პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა: მის მაგიერ ლი-უნ-ხუნი არის გამოცხადებული.

**მოდა გერმანეთში.**

ორჯელ-სამჯელ გამოეცხადათ გერმანელ ქალებს: ნუ მისდევთ ფრანგთა „მაიმუნურ“ მოდას, რაზედაც აუარებელი ფული და ენერგია იხარჯება. გაითვალისწინეთ სამშობლოს ინტერესები, ჩაიცვით—უბრალოდ, იხმარეთ მოდიდან გასული ტანისამოსი და ნუ

დაივიწყებთ გერმანელთა მარტივ და სალ გემოვნებას.

**სერ როჯერ კებმენტი.**

სახელ განთქმული ბელადი ირლანდიელ მეამბოხეთა სერ როჯერ კებმენტი დაიბადა 1864 წ. პირველად დაინიშნა დასავლეთ აფრიკაში ინგლისის ახალშენთა სამინისტროს მოხელეთ. ადრიდანვე იგი დიდად დაინტერესდა ადგილობრივ მცხოვრებთა ბედ-იღბლით და თავისი ძალა მოანდომა მათი მდგომარეობის გაუმჯობესობას. 1895 წ. იგი დაინიშნა ინგლისის კონსულად ბელგეთის კანტონში, შემდეგ გადაიყვანეს პორტუგალიის კუთვნილ დასავლეთ აფრიკის ნაწილში.

იგი ამ ათი წლის წინად გამოესარჩლა ბელგეთის დაჩაგრულ ახალშენებს. აფრიკიდან მთავარ კონსულად გადაიყვანეს ბრაზილიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო პლანტაციებში მომუშავეთა ბედში. ამ საქმის გამო მას ებოძა „სერის“.

ერთი წლის წინად, სანამ ომი დაიწყებოდა, სერ როჯერს კებმენტი სამსახურიდან გამოვიდა და მიიღო მონაწილეობა ირლანდიაში სინფეინთა მიერ აღძრულ სეპარატიულ მოძრაობაში. ომის გამოცხადებისას ბერლინში დაბინავდა და დიდი ნდობა დაიმსახურა კაიზერისა. შემდეგ ირლანდიელ ტყვეთა შორის ინგლისის წინააღმდეგ ქადაგობდა და, როგორც ვხედავთ, ფეხი ყინულზე გაუცურდა. ინგლისებმა ტოუერის ციხეში დაამწყვდიეს. რა ბედი მოელის სერ როჯერ კებმენტს ძნელი სათქმელია. უსათუოდ დაისჯება სიკვდილით, როგორც სახელმწიფო დამნაშავე.

**ავსტრიელები სტამბოლში**

სტამბოლში დიდი ძალა ავსტრია-ჰუნგრელია, რომელიც შესცვლის გერმანელთა ჯარს აზიის ასპარეზზე. სტამბოლში მხოლოდ გერმანელთა აფიცრები დარჩნენ, რომელნიც საომარ მასალის დამმუშავებელთა მეთვალყურედ ირიცხებიან. სტამბოლსა და მის ახლო-მახლო ადგილებში 28.000 ავსტრიელ-ჰუნგრელს მოუყარეს თავი.

ავსტრიელებმა ტაქსიმის სიმაღლეზე მძიმე ზარბაზნები დასდგეს, რომელიც ქალაქის ევროპიულ ნაწილს გადაჰყურებს. გარდა ამისა მიღებულია ზომები, რათა მუსულმანთა ამბოხება მალე ჩააქრონ, თუ რომ ამ გვარ მოვლენას სადმე ადგილი ექმნება.

**საბერძნეთი.**

გერმანელთა პრესა იუწყება: საბერძნეთის მთავრობის და ამერიკის „German Bank“ შორის შეთანხმება მოხდა მილიონი მან. სესხის შესახებ. ყოველთვე საბერძნეთის მთავრობა მიიღებს 10 მილ. მანეთს.

**სერბიელთა ჯარები.**

კორფუდან იტყობინებიან: სერბიელთა ჯარები მიჰყავთ. ჯარი გაყოფილია სამ ნაწილად. ამჟამად ჯარი მოთავსებულ იქმნება ქალკედონის ნახევარ-კუნძულზე.

სერბიელთა ჯარს აპრილის მეორე ნახევარში გადაიყვანენ, თან გაჰყვება მეფე პეტრე და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეც.

# ბრძოლის ველზე

გაზაფხული ძალაში შევიდა და ყველა მხარე შეფიქრიანდა. თუ რიგი რომელს მოსდის, საით დაიწყებენ ლაშქრობას გერმანელები, მით უმეტეს, როგორც ვხედავთ, ოპერაცია ვერდენთან შენელდა, აქ მხოლოდ საარტილერიო სროლით კმაყოფილდებიან, როგორც სჩანს, ალბად იმიტომ, რომ შესაფერ ხაზამდე ბრძოლის პირის გასასწორებლად უკან დახევაში შეუწყონ ხელი თავიანთ ჯარებს. შემდეგ, თქმა არ უნდა, აქ პოზიციურს ბრძოლაზე გადავლენ, როგორც ეს მოხდა ჯერ კიდევ 1914 წ. მარნასთან დამარცხების შემდეგ, შამპანში გაჩერებისას. მაგრამ რა მოხდება შემდეგ? საით დაიწყებს გერმანეთი ბრძოლას, რომ რკინის რკალი გაამტვრიოს? ბევრს მიმომხილველს ისევ დასავლეთი ასპარეზი მიაჩნიათ, სახელდობრ ინგლისის ბრძოლის პირი. აქეთკენ დღევანდელი საარტილერიო ბრძოლის გაჩაღება ირლანდიაში აჯანყებას დაუკავშირეს და ჰფიქრობენ, ალბად, ეხლა მაინც შეებრძოლება, რომ აჯანყებულთ ტვირთი შეუმსუბუქოსო. მით უმეტეს, როგორც ირკვევა, აჯანყებულთა ხელმძღვანელნი გერმანელები ყოფილან. მაგრამ არიან მიმომხილველნი, რომელნიც ისევ რუსეთისკენ იყურებიან. დასავლეთით გერმანელები ისევ პოზიციურს ბრძოლას განაგრძობენ, ხოლო რუსეთით დაიწყებენ ფართო ლაშქრობასაო. თუ მართალია ეს მოსაზრება, თუ გერმანელები მართლა რუსეთს იმავეს უმზადებენ, რაც მოახდინეს გასულ წელს, 18 აპრილს, საკითხავია, სახელდობრ რომელ მხარეზე იმიშვლებენ ხმალს? არის რამ სერიოზული რიგა-დვინსკზე, თუ სხვა რამ მხარე აქვთ ამონიშნული? ერთის შეხედვით მძაფრი საარტილერიო სროლა იქსკიულის მიმართულებით, ნაროჩის ტბისა და ვიშნევის ტბის შუა, თვითონ რიგისა და დვინსკის რაიონებში ჰაეროპლანთა თარეში, მზვერავთა დაუცხრომელი მიხლა-მოხლა, თვითონ გერმანელთა მიერვე დაქადება, ახლა რიგა-დვინს ავიღებთო, ამისთვის ფლოტსაც ვამზადებთო, თითქოს თავისთავად ჰგულისხმობს, რომ სწორედ ამ მიმართულებით მოხდება სისხლის ღვრა, რომელიც გასულს წელს შეჩერებულ იქმნა.

მაგრამ არის მესამე მოსაზრებაც. ბ-ნი შუმსკი, მაგალითად, შეუძლებლად სთვლის ამ ასპარეზზე სერიოზულ ბრძოლის დაწყებას. ყველა ეს ფართო დემონსტრაციაა, უნდა მოველოდეთ ისეთს ადგილას, საიდანაც სრულიად არ ველით, მაგრამ სახელდობრ რომელია ეს მხარე, გარდაწყვეტით ვერც შუმსკის უთქვამს.

საზოგადოდ ყველა ჰგრძნობს, რომ რაღაცა საშინელი რამ უნდა მოხდეს, რაღაცა მზადდება, მაგრამ სად, როდის, რა ადგილას,—აი საკითხი. საოცარია, რომ ამ ორი წლის ბრძოლის შემდეგ ჯერ ვერ დაჰკრა ისეთმა წამმა, როდესაც მოკავშირეებმა ისე მარჯვედ ჩაიგდონ ბრძოლის ინიციატივა, რომ ახლა ჯერი გერმანეზე მიდგეს და ის იკვლევდეს, თუ სახელდობრ რა მხარეს უპირებენ მოკავშირენი განადგურებას!

X

—

P. S. გუშინ ჩვენს მიმოხილვაში შეცდომით სწერია: გენერალი ხეგი,— უნდა იყოს გენერალი ლეკი.

X.

## თბილისი, 22 აპრილი.

**ახალი ხიფათი**

რუსის საზოგადოებისთვის სრულიად უმტკივნეულად და შეუმჩნევლად ჩაივლის და რაც მისგან მოწონება-დასტურსაც-კი ეღირსება, იგი ძალიან ხშირად საქართველოს არსებობას განსაცდელში აგდებს და შეგნებული ქართველი საზოგადოების აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევს.

მთელი განვლილი საუკუნე, ისე, როგორც მიმდინარე საუკუნის ეს პირველი მეოთხედიც ამგვარი ექსპერიმენტაციის დრო იყო და არის. გამუდმებული ენერგიული მღელვარება ნთქავს ჩვენი ერის ძალასა და ენერგიას. იგი ჩაბმულია უსწორო ბრძოლაში თავის პირვანდებულ ნიშანდობლივ ეროვნულ თვისებების შესანარჩუნებლად. ეს გაუნელებელი ტრაგიზმი, რომელიც წარმოშობილია ჩვენში მომქმედი ხელმწიფებისა და ქართველი ხალხის ეროვნული სულის უცხოობა-შეუთვისებლობით, ჩვენი თანამგზავრი იქნება, ვიდრე არსებული პოლიტიკური უკულმართობა არ მოისპობა. ბევრი ახალი განკარგულება გვიცდის, ბევრ ახალ ჭრილობას მოგვაყენებენ. როგორც წარსულში, ისე დღესაც მხნეობა და გამკლავება გვმართებს.

ერთი ამგვარი ჭრილობის მოყენებას მიწად-მოქმედების სამინისტრო გვიპირებს, სადაც გეგმას ამუშავებენ, თუ როგორ დააჯილდოვონ ომ-გადახდილი ჯარისკაცები. გადარჩენილი დასახიჩრებული მეომრები, რომელთაც საკუთარი შრომისა და გარჯის უნარი დაჰკარგვიათ, განსაკუთრებულ შველისა და დახმარებას საჭიროობენ და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, მთავრობა რომ ამ თავითვე მათთვის ერთგვარ ზრუნვას შეუდგა.

განზრახულია, ომ გადახდილ მეომრებს დაურიგონ როგორც სახაზინო მიწები, ისე რუსეთში მოსახლე გერმანელების მიწა და ჭოროხის ხეობაში მდებარე შავი ზღვის პირა ადგილები. რუსეთის მთავრობას საშუალება ეძლევა შემთხვევით ისარგებლოს და კეთილი მიზნის სახით აწარმოოს თავისი ეგოისტური სახელმწიფოებრივი კოლონიალური პოლიტიკა. ამ ხერხით მოხდა ეთნოგრაფიული გარუსება, ჩრდილოეთ კავკასიისა, სადაც დიდი ადგილი მიუზომა მეომრებს და ჩაასახლა სხვა და სხვა ადგილებიდან ჩამოყვანილი დიდძალი რუსობა, რომელმაც ნელ-ნელა მოინელა ადგილობრივი მკიდრი. ამ გარუსებისა და ეთნოგრაფიული აჭრელების პოლიტიკას ანდომებდა მთელ თავის ძალას რუსეთის მთავრობა ამიერ კავკასიაში. იერიშის მისატანი მილიონი ტერიტორიული და კულტურული ერთეული საქართველო იყო და მთავრობაც ცდილობდა სომხებისა, ბერძნებისა თუ რუსების გადმოსახლებით დაერღვია საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობა.

ამ მხრივ, გარუსების პოლიტიკამ თვის სასურველ შედეგს მიაღწია და დღეს ცისა და ქვეყნის უსამართლობით ჩვენში დამკვიდრებული უცხო ელემენტი საქართველოს სხეულის დაჭრას მოითხოვენ და მის პოლიტიკურ მისწრაფებას წინ ეღობებიან. მიწადმოქმედების ახალი გეგმის ძალით, ბათომის ოლქში შავი ზღვის ნაპირას რუსის მხედრების ჩამოსახლებას გვიპირებენ.

ათასჯერ თქმულა და დამტკიცებულა რომ ჩვენში თავისუფალი ადგილი არ არის, რომ ადგილობრივი მკვიდრნი იძულებული არიან ხშირად სამშობლოს გარეთაც წავიდნენ, მაგრამ მთავრობა თავისას მაინც არ იშლის და თავის პოლიტიკის წარმოებას განაგრძობს.

ვერ გაგვიგია თუ რით დავიმსახურეთ ასეთი დაუნდობელი მოპყრობა. ქართველი საზოგადოება ფხიზელ დარაჯად უნდა წამოიშალოს და მთავრობის ამგვარი განზრახვის შესაჩერებლად ყოველი ლეგალური საშუალება იხმაროს.

# ქართული პრესა

ბ-ნმა ღლონტმა „სახალხო ფურცელში“ დაიწყო წერილების წერა—სათაურით „ნაპრალის წინ“. ეს წერილი ალბად დიდხანს არ დასრულდება და ამიტომ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ უცნაურ დასკვნებზე. თ. ღლონტი ეკამათება ბ. იოსებ დადიანს, რომელმაც ერთ კერძო კრებაზე სთქვა:

„თუ დღემდის გაჩუმებული და შეთანხმებული **არა სოციალისტური**, მაგრამ დემოკრატიული ელემენტები შეჯგუფდებიან, შეერთდებიან და გამოვლენ დასაცველად არა ცალკე რომელიმე წოდების ან კლასის ინტერესებისა, არამედ მთელი ქართველის ინტერესებისა და თავიანთ მოქმედებას დაამყარებენ რეალურ პოლიტიკაზე. მაშინ შესაძლებელია მოხდეს ის, რაც ჯერჯერობით არ ხერხდება: იმ საკითხებში—განაგრძობს ბ. დადიანი—რომელნიც ეხებიან მთელი ქართველი ერს კეთილდღეობას, იმ საკითხებში, რომელსაც უკიდურესი მემარცხენენი—სოციალისტური პარტიები ვერ გამოესარჩლებიან ბუნებრივად, თუნდაც მათ საჭიროებას დღეს გრძნობდნენ, რადგან ეს მათ პრინციპებს ეწინააღმდეგება; იმ საკითხებში, რომელნიც, ასე ვსთქვათ, ეროვნების საერთო პოლიტიკას ეხებიან—ყველას, ვინც თავის თავს ქართველად სთვლის, ყველა მიმართულების ქართულ პარტიებს შეძლებათ ამ გვარ ჯგუფს, როგორც ცენტრალურ მიმართულებას, შემოუერთდნენ, მხარი დაუჭირონ და არც თავიანთ პრინციპს უღალატონ და შეებრძოლონ გაერთიანებულის ძალით გარედან ერის დამაბრკოლებელ გარემოებას“.

თ. ღლონტს ეს სტრიქონები სრულიად გაუგებრად მიაჩნია. ის გვიმტკიცებს, რომ სწორედ სოციალისტური პარტიები ემსახურება მთელს ერს და წარმოიდგინეთ, თვით ბურჟუაზიასაც კი!

სოციალისტურ წყობილების ხანა ჯერ კიდევ არ დამდგარა, სოციალისტური პარტიები მხოლოდ დემოკრატიულ უფლებებს ანხორციელებენ და ვიდრე სრული დემოკრატიზმი არ განხორციელებულა ბურჟუაზიას ყოველთვის შეუძლიან დემოკრატიის ბრძოლით სარგებლობა. ეს ობიექტიური მდგომარეობაა, რაიც ხორციელდება ცხოვრებაში.

დღევანდელ პირობებში ბურჟუაზიას არ შეუძლია ჰეგემონის როლი ითამაშოს, ფიზიკურად და ქონებრივად ძლიერიც რომ იყოს იგი. ამ აღმოჩენებს ბ-ნი ღლონტი კიდევაც ასაბუთებს.

„მეცხრამეტე საუკუნეში მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. გეტჩესონის, ლოკის და სმიტის აზრებით ეხლა უაღრესი ლიბერალური და სოციალისტური მოძღვრებანია გაბატონებული და უნივერსიტეტებიც სოციალიზმის იდეას ემსახურებიან. ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ დაჰკარგა ჰეგემონია, ბურჟუაზიული პოლიტიკა სრულიად ეწინააღმდეგება დემოკრატიისას და პარიზის სისხლის ღვრა ივნისის თვეების (1848 წელში) და პარიზისავე საშინელი ტრაგედია კომუნის დროს სამუდამოდ არკვევს და სწყვეტს ბურჟუაზიისა და დემოკრატიის „კავშირს“.

მე-XIX—საუკუნის ნახევრიდან ბურჟუაზია რეაქციონური და რეტროგრადიულია, უკეთ—კონსერვატიულია. აბსოლიუტიზმი აღარ არის, ფეოდალიზმი მოსპობილია, გუშინ თუ ფეოდალიზმი მოსპო ბურჟუაზიამ, დღეს კაპიტალიზმს პროლეტარიატი ემუქრება. ევროპის ბურჟუაზია [illegible] თავდაცვის გრძნობით [illegible], იგი მშიშარაა, მხდალი და პოლიტიკური ევოლიუციის გარეშე მყოფი. მის ხელთ აღარ არის ჰეგემონია“.

დაუჯეროთ ბ-ნ ღლონტს, რომ ყოველივე ეს ასეა და ევროპაში ბურჟუაზიული პოლიტიკაც და მეცნიერებაც დაუძლურდა და იქ „უაღრესი ლიბერალური (ეს ვითომ ბურჟუაზიული არ იქნება?) და სოციალისტური იდეალებია გაბატონებული. დავუჯეროთ ბ-ნ ღლონტს და ჩვენც წყალწაღებულად აღვიაროთ ბურჟუაზიის საქმე, მაგრამ რა შუაშია აქ ბ. იოსებ დადიანი, რომლის საკამათოდ ამხედრებულა თ. ღლონტი. ბ. ი. დადიანი სწერს არა სოციალისტურს, მაგრამ დემოკრატიულ ელემენტების შეჯგუფებაზე საერთო ეროვნულ საქმის გარშემო. მის საპასუხოდ კი თ. ღლონტს გამოჰყავს ბურჟუაზია, როგორც კლასი და დასამარებას უპირებს. და თუ როგორი პატრონობა შეუძლიან სოციალისტურს პარტიებს მთელი ერის, ამას თვით ბ-ნი ღლონტი საუცხოვოდ გვისურათებს და ეს ბ. ი. დადიანის მოსაზრებების დასარღვევად კი არ გამოდგება, როგორც ჰგონია ბ-ნ ღლონტს, არამედ საუცხოვოდ ასაბუთებს ბ. ი. დადიანის სიტყვებს.

„რამდენადაც ევროპის აღმოსავლეთ („ახალ“) სახელმწიფოებს უახლოვდებით, იმდენადვე მახინჯ სახელმწიფოებრივ ფორმებთან გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალისტური პარტიები მეტ ძალას წარმოადგენენ. ინგლისიდან ჩინეთამდე პოლიტიკური ფორმა იმდენად დუხჭირია, რამდენადაც აღმოსავლეთით მივდივართ. თუმცა იმდენადვე ძლიერია აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალისტური პარტიები“.

ბ-ნ ღლონტი წერილის დასაწყისში აგვიწერდა სოციალისტური მიმართულებების ძლიერებას მოწინავე ქვეყნებში. ეხლა ირკვევა, რომ აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ქვეყნებში უფრო ძლიერი ყოფილა სოციალისტური მიმართულება, ვინემ დაწინაურებულ ევროპის სახელმწიფოში. მაგრამ ეს რა არის? თურმე რამდენს გავიწევთ აღმოსავლეთისკენ, პოლიტიკური ფორმა იმდენად დუხჭირი და მახინჯი არის და ამავე დროს იმდენადვე ძლიერი ყოფილა ამ ქვეყნებში სოციალისტური პარტიები. ასე ასაბუთებს ბ. თ. ღლონტი იმ აზრს, რომ სოციალისტური პარტიები არიან ქვეყნის მარილი და არა მათ გარეშე მყოფი დემოკრატიული ჯგუფები, როგორც ამას ამბობდა ბ-ნი დადიანი. ასევე მოიქცა ის გულკეთილი ცხოველი, რომელმაც ლოდი დაჰკრა თავზედ თავის მძინარე მეგობარს, რომ მისთვის ბუზი მოეგერებინა.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქრ.“ № 88)

უკანასკნელთა სოციალური ზრდა არ იფარგლება სივრცის მიხედვით რომელიმე სოფლითა; წინააღმდეგ ფრიად საგრძნობელია ის ნაწილი ყოფილ სასოფლო მეურნეთა, რომელთ ხალხში „გარეთ გასულს“ უწოდებენ. ეს ის ნაწილია, რომელსაც თავისი საქმიანობის უნარისა და ნიჭის დაკმაყოფილება სოფლის გარეშე—ქალაქებში უპოვნია. ეს ნაწილი გლეხობისა მძლავრი, გამომაფხიზლებელი ნაკადულივით იჭრება სოციალური ცხოვრების უმაღლეს საფეხურებისაკენ. 1899 წლიდან 1916 წლამდე ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობას უმატნია 50,47 პროცენტით [1]) მეტ ზრდას გვიჩვენებს კიდევ ისეთი პროვინციალური ქალაქიც კი, როგორიცაა ოზურგეთი: 1899 წელს იქ ირიცხებოდა 4816 მცხოვრები, 1912 წელს კი 7.462. ე. ი. ამ დროს განმავლობაში ეგ რაოდენობა გაზდილა მთელი 55,08 პროცენტით. სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ის ზედმეტი ძალა, რომელიც ვერ თავსდება თავისუფლად სოფლის ვიწრო ჩარჩოებში, თავის გასაშლელად შოულობს თავისუფალ სივრცეს ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში, სადაც ეგ მოსული ელემენტი ეტანება ვაჭრობასა და მრეწველობას, იძენს თავის საკუთრებას საწარმოვო იარაღებისა, სავაჭრო სახლისა, საექსპლოატაციო მამულისა თუ სხვა ამგვარ საქმიანობის საშუალებათა სახით და ამძლავრებს, ახშირებს ამით მესაკუთრეთა—მოქალაქეთა წრეს. გადადუღდება რა, თავისი საქმიანობის ნიჭის წყალობით, ეგ მოსული ელემენტი მოქალაქეთა წრეში, ის ამ უკანასკნელთან ერთად ქმნის ჩვენი ერის ცივილიზაციას, რომელსაც ზედ აზის თავისი წარმოშობის ბეჭედი. მოქალაქობრივი ზრდა შეუძლებელია თუ არბ ეროვნული ზრდის საშუალებით. ეგ უკანასკნელი კი სწარმოებს ზემო აღნიშნულ სახით: მესაკუთრეთა წრე—სოფლის მეურნენი, ქალაქის ვაჭარნი და მრეწველნი იმყოფებიან თავიანთ საქმიანობის, ნიჭის გაშლისა და განვითარების სტადიაში, ეს გახლავთ ერის განვითარების, განდიდების ე. ი. ვერტიკალური, ინტენსიური, მხარე, მისი ფიზიკურ ანუ ვერტიკალურ ზრდა-გამრავლებასთან შედარებით. არა მარტო რიცხვითი ზედმეტობისა გამო, არამედ უწინარეს ყოვლისა, როგორც ერის გამაძლიერებელი ელემენტი, მოქალაქეთა წრე წარმოადგენს ჩვენს სოციალ ცხოვრებაში მამოძრავებელს, განმავითარებელ რაობას (нечто). ამგვარათ, ვაჭარ-მრეწველთა ანუ მოქალაქეთა წრის საშუალებით, ჩვენი ხალხი განიცდის—ისე როგორც ევროპიელი ერები, [2]) ერთგვარ ევოლიუციას სოციალ ცხოვრებაში; კერძო საკუთრებით გამძლავრებული, თავისი საქმიანობის უნარით იმედმოცული გუშინდელი გლეხი, სხვისი ნაყმევი, დღეს თავისუფალი, ამაყი და გამბედავი მოქალაქეა. ამას კულტურულათა და ეროვნულათ **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს**, რადგან ეს გახლავთ ერთად ერთი თავისუფალი, ბუნებრივი და უცდომი გზა ერის ნიჭის, ერის ზესულიერი მძლავრობის, ერის არსებობისათვის ბრძოლაში დამოუკიდებლათ თავის შენახვის უნარის **გამოსამჟღავნებლად და ცხად-საყოფათ**. ყოველი ხალხის უმთავრესი ძალა და ენერგია მშვიდობიან დროში იმაზეა მიქცეული თუ რა რიგათ მოაწყოს, უზრუნველყოს თვისი არსებობისათვის შესაფერი პირობები; ბუნებასთან ბრძოლაში ის იჩენს შემოქმედ ნიჭს, ქმნის საშუალებათ სივრცისა და დროის დასაძლევათ, ტეხნიკის გასაუმჯობესებლათ და შეძენილ წარმატებათა შთამამავლობისათვის გადასაცემათ. აი, ამ მშვიდობიან მუშაობაში ეროვნული გენიოსობა შეუმჩნეველის, მაგრამ ბასრი სიმახვილითა და უდრეკი შეუპოვრობით იჩენს თავსა და მიაქანებს ერს საკაცობრიო დიდებისაკენ, კულტურული მესვეურობისაკენ. აქ, ამ ნიადაგზე წარმოებს მიჩნეულ ერის ყველა წრეთა, სოციალ ერთეულთა ერთი-მეორეში საფეხურით-საფეხურამდე გადასვლა, აღმატება და გადადუღება ერთ მთლიან ბუნებრივ ნიჭიერებათ. აქ ყოველი ეროვნული უჯრედი მოძრავია და გაჟღენთილია გაშლის, განდიდების, გაფართოების, გაუმჯობესების პოტენციალობით. მოკლეთ ვთქვათ—მოქალაქობრივი განვითარების ნიადაგზე ხდება **ბუნებრივი თავმოყრა ეროვნულ-კულტურულ ძალებისა.** ჩვენშიაც გამოიხატა ეგ თავმოყრა ცხოვრებისაგან წამოყენებულ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ სახით.

უპირველესად ყოვლისა ფრიად დამახასიათებელია ჩვენი მოქალაქეთა წრისა იდეა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დაარსებისა. აქ ჩვენ გვსურს გავუსვათ ხაზი, რომ ბანკი არსდება მთელი კავკასიისათვის, შემოიფარგლებს ვაჭრობა-მრეწველობის შემათანხმებელ, შემაკავშირებელ და შემაერთიანებელ ნიადაგზე მთელ ამიერ-კავკასიას, ამ ბუნებრივად შემოფარგლულ **ერთეულის** წარმოებას, მის ეკონომიკას. პირველი და უმთავრესი ნაბიჯი ამ ბანკის დასაარსებლად გადადგმული დიდი იმედების აღმძვრელნი შეიქმნა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ დრო და გარემოებამ მისი მუშაობის დაწყება მოკლე დროთი შეაჩერა. აზრი აგეთი დაწესებულების წარმოშობისა და ის ხალისიანი თანაგრძნობა, რომლითაც გატაცებულია ამ საგნის გამო ჩვენი ვაჭარ-მრეწველთა, მოქალაქეთა წრე ეჭვმიუტანელი (залогъ) მძევალია საიმედო მერმისისათვის. ამავე წრის საქმიანობის, ორგანიზაციული უნარის გამომხატველოჰაა კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირი, რომელსაც საძირკველი კახეთში ჩაედგა, მაგრამ საერთო თანაგრძნობა მთელს საქართველოში და მის მეზობლებში თავიდანვე მოიპოვა; ამერეთში დაწყებული, იქ გაჭედილი მაგალითი უკვე იწყება წამბაძველობის შოვნას იმერეთშიაც კოოპერატივების საერთო ორგანიზაციის მოწყობის მუშაობაში და საკრედიტო დაწესებულებათა საერთო კრებებში. ასეთი ორგანიზაციული მუშაობა ჩვენი ვაჭარ-მრეწველთა შემაერთიანებელ საქმიანობაში **უკანასკნელის გამოხატულებაა,** ჩვენი სამეურნეო ცხოვრების დედა ბოძზე ეყრდნობა მაგ. კახეთის რკინის გზა, რომელიც სულ ეხლა იქმნა გაყვანილი; აგრეთვე ხასიათის მქონეა ქუთაისის კომერციული სასწავლებელი, მხოლოდ ეგ უკანასკნელი მარტო ვაჭრებისა და მოქალაქეთა წრის ღვიძლი შვილია; კახეთში აწყობენ ვაჭარ-მრეწველთა კავშირს, იმერეთში აარსებენ დაწესებულებას რომლის უახლოესი მიზანია მათში აღზრდილმა თაობამ წინა თაობის ნამუშევარ-ნაამაგარი თავისი არწივისებური ფრთებ ქვეშ გაფურჩქნოს, განავითაროს, განასრულოს. ამერეთში დაწყებული საქმე ჰპოვებს თავის დამცველს—შემნახველს იმერეთის თაოსნობაში. მოქალაქობრივი ცხოვრებაში წარმოჩენილი მოთხოვნილება შეკავშირებისა, საერთო ორგანიზაციისა გადიქცა საზოგადოებრივ მიმართულებათ და ამგვარად ვხედავთ ჩვენ, რომ იმავე მაგალითს მისდევენ სახალხო მასწავლებლებიც. ხალხთან მუდმივი კავშირით გამოწვეული ზეგავლენა უნაყოფოდ არ დარჩა და სახალხო მასწავლებლებიც შეკავშირდნენ ქუთაისის კრებაზე. პარალელურია ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათა ტფილისში დაარსებული კავშირი. თუ დღეს შესაძლოა კულტურულ დაწესებულებათა არამც თუ წარმოჩენა-დაარსება, არამედ მათი შენახვაც კი და მათთვის შემაერთებელ ერთა ცენტრალის დაარსება—ეს აიხსნება მითი რომ ჩვენი მოქალაქეთა წრე გამაგრდა, განდიდდა, შეძლებით გაღონიერდა და შეგნებით გაძლიერდა.[3]) ეს აძლევს საშუალებას ყოველ ჩვენს კულტურულ დაწესებულებას მისი შედეგოვან მუშაობაში. ამგვარად მოქალაქეთა წრის მნიშვნელობა ჩვენი სოციალ ცხოვრებაში დღითი-დღე იზრდება, მისი თაოსნობაცა და საქმიანობაც თან და თან ცხადდება ჩვენი ეროვნული ცხოვრების მიმდინარეობაში. ზემო ნათქვამიდან ცხადია თუ რა სოციალი ზნექვა წარმოებს ჩვენს ერში: მესაკუთრეთა ანუ ვაჭარ-მრეწველთა და მოქალაქეთა ქონებრივათ გაძლიერებას თან მოჰყვა მათი პირველობა სოციალათ: ვერც ერთი წრე ვერ თამაშობს იმდენ როლს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ხსენებული წრე. ეს წრე წარმორჩენილია ხალხისაგან, რომელთანაც მას აქვს ორგანიული კავშირი და რომლისგანაც ის ღებულობს ახალ-ახალ შემმატებელ ძალებს და რომლის უმეტესობას რიცხვითაც ის წარმოადგენს. ეს მესაკუთრეთა, მოქალაქეთა წრე გახლავთ ჩაბმული უწინარეს ყოვლისა ჩვენი ცხოვრების განვითარების ფერხულში; ამ წრის ვითარებაში გამოიხატება ჩვენი ერის, მთელი ქართველობის ეროვნული სახიერება თვის პრაქტიკულ მოქმედებისა და საქმიანობის სფეროში.

**ტიტე მარგველაშვილი.**

(დასასრული ქნება)

[1]) 1899 წელს მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდა 33.228, 1915 წლის დამლევისათვის ჩვენ ვანგარიშობთ სრული ციფრით 50 ათასს, ეს ციფრი მისაღებია როგორც მინიმუმი.

[2]) იხილე ჩვენი წერილი „მოქალაქეთა წრე და მისი მნიშვნელობა“ გაზეთ „სამშობლო“-ში: № 54, 67, 77, 78, 88, 89, სადაც შევეცადეთ მცირეოდენ მაგალითებით გაგვეშუქებია მოქალაქეთა წრის განვითარების მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიაში. იქ მოყვანილი მაგალითები (ციფრები) ჩვენ შეგვიძლია გავამრავლოთ პირველ საჭიროებისამებრ.

[3]) კახეთის კავშირი დასაწყისია იმ დიდი ეროვნული კავშირისა, რომელმაც მომავალში უნდა შეაერთოს მთელი საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა წრე და რომელიც უნდა გადიქცეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების საუკეთესო სარეგულიაციო ორგანოდ. ამაზედ იხ. ჩვენი წერილი „ვაჭარ-მრეწველთა მომავალი კავშირი“ გაზეთ „იმერეთი“-ს №№ 105 და შემდეგნი. ამას ვწერდით 1914 წ., როდესაც კახეთის კავშირის დაარსების შესახებ ჯერ არაფერი იყო საზოგადოდ თქმული.

# კიდევ ერთი პროვოკაცია

დღეს ადვილი საქმეა უდანაშაულო კაცისა თუ მთელი ხალხის თავზე გაუკითხავი კატასტროფის დატეხვა. ერთი მარჯვედ შეთხზული ინსინუაცია საკმარისია რომ მიზანში ამოღებული მსხვერპლი ცეცხლმა და მახვილმა თვალის დახამხამებაზე შეიწიროს. დღეს განკითხვის დრო აღარ არის, დღეს სწრაფი მოქმედების დღეა. ჩანს ამ მდგომარეობის ექსპლოატაციით მეტად დაინტერესებულან ზოგიერთი ჩვენი მოყვრები, რომ სხვა და სხვა დროს ბატონის წინაშე გვაბეზღებენ. ჯერ იყო და ომის დაწყების ხანებში სომხურ გაზეთმა „ჰორიზონში“ სტამბოლიდან მიღებულ ცნობების მოწმობით აუწყა თვის მკითხველებს, რომ სტამბოლის ქუჩებში ქართველი ხანჯლოსნები-დაიარებიან, რომ იქაურ ქართველობას ოსმალეთის მთავრობასთან კავშირი აქვს და საქმეს აკეთებსო. ეს ამბავი გადათარგმნეს სომხების რუსულმა გაზეთებმა და აუწყეს რუსის საზოგადოებასაც.

აჭარის ამბების შემდეგ, ვიღაც „მოყვარემ“ პროვოკატორული დეპეშა აფრინა ვიცედან პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოში, რომ ქართველობამ გერმანელებთან საქმე დაიჭირა და აჯანყების დასაწყებად იმას ღა უცდიან რამოდენიმე ათეული გერმანელი მხედარი სადმე შავი ზღვის პირას გადმოვიდესო.

ქართველობის (აჭარლების) მოღალატეობის ბრალმდებელად გამოვიდა „კავკაზსკოე სლოვოც“ მას შემდეგ, რაც თვით ბათომის სამხედრო სასამართლომ მოხსნა ამგვარი ბრალდება ბრალდებულთ.

ეხლა ამ გარი ინსინუაციების გავრცელება ჩვენს მტერ-მოყვარეს რუსეთის გავლენიან სატახტო გაზეთების საშუალებით დაუწყიათ. ვიღაც პ. რუსეთის ლიბერალურ ორგანოში „რუსკია ვედომოსტში“ თავის წერილში „კავკასიის ცხოვრებიდან“ სწერს: „სომხის ერთმა მოღვაწემ, რომელიც ვინახულე, სრულიად სერიოზულად გადმომცა: ქართველები ოსმალთა ორიენტაციას იზიარებენ, ისინი გერმანელთა ინტერესების ფერხულში არიან ჩაბმულნი და აქედან წარმოსდგება მათი მტრობა სომხებისადმი“.

გვიკვირს რომ სერიოზული ორგანო, სადაც სომხის მოწინავე პირებიც, როგორც მაგ. პროფესორი ჯივილეგოვი, მახლობელ თანამშრომლობას ეწევიან, ასე მოურიდებლად ათავსებს ყალბს და ინსინუაციურ აზრებს, რომელსაც ამ საშიშ დროში დიდი უბედურების მოტანა შეუძლიან იმისთვის, ვინც მიზანშია ამოღებული. ვის რა დაუშავა საქართველომ რომ მის სავნებლად უკადრისად ჭორებსა და ინსინუაციებს თხზავენ, რაკი თვით საქართველოს ეჭვ-მიუტანელი ლოიალური და გონიერი საქციელი მის ყელის გამოსაჭრელ საბუთებს მტერს არ აძლევს?!!

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**გაზეთ „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი დიმიტრიევი ირწმუნება: საბერძნეთი მალე გასწყვეტს დამოკიდებულებას მოკავშირეებთანო. მთავრობა უკვე დარწმუნდა გერმანეთის შეუდრეკელ სიძლიერეშიო.**

—

**პარიზიდან გაზეთ „რეჩ“ ატყობინებენ: საბერძნეთი არას გზით არ გაატარებს სერბიელთ თავის მიწა-წყალზედ. თუ მაინც და მაინც მოკავშირეებმა ძალა დაატანეს, საბერძნეთი უსათუოდ ომს გამოუცხადებს და გერმანეთს მიემხრობაო.**

—

**სომხებს გადაუწყვეტიათ გაჰგზავნონ საგანგებო დელეგაცია მოკავშირე სახელმწიფოთა დედა ქალაქებში, რათა მადლობა გამოუცხადონ მთავრობას სომეხ ხალხისადმი თანაგრძნობისათვის.**

—

**„დეილ ხრონ.“-ის წარმომადგენლებს განუცხადებიათ ჟურნალისტებისათვის: ირლანდიის ამბოხებას სინფეინების პარტია ხელმძღვანელობდა. ამ პარტიის მიზანია გაანთავისუფლოს ირლანდია ინგლისისაგან და დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. თავიდანვე პარტია ცდილობდა მიეხწია მიზნისთვის პარლამენტის საშუალებით, მაგრამ ამაოდ. 1914 წელს ეს პარტია შეუერთდა სინდიკალისტებს და მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში. ახლა, რაკი დაინახეს ინგლისის გაჭირვება, შეეცადნენ ეხარგებლათ მომენტით, დაეყრდნენ გერმანელებს, რომელნიც დაჰპირდნენ ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას. გერმანელები წყალქვეშა ნავების და ცეპელინების საშუალებით აწვდიდნენ მათ სამხედრო მასალას. რამდენად გაძლიერდება ეს ამბოხება, არავინ იცის.**

ლ. ჯ.

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**ირლანდიის ამბოხებას ხელმძღვანელობდა დროებითი მთავრობა, რომელმაც გამოსცა მანიფესტი და ამცნო ხალხს, რომ იგი გერმანეთთან შეთანხმებით მოქმედობს. დროებითმა მთავრობამ დაიარსა საკუთარი ბანკი და ფულის მოჭრაც დაიწყო.**

—

**ნაროჩის მიდამოები ჯერ ისევ მთავარი ადგილია, სადაც სერიოზული ბრძოლაა დაწყებული.**

—

**ლონდონიდან იტყობინებიან: აქ არსდება სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმი, სადაც გამოფენილი იქნება რუსეთის სხვა და სხვა მადნეულობა და მეურნეთა ნაწარმოები.**

გ. ვ.

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).**

რუსეთის ასპარეზზე, იაკობშტადტის და დვინის მიდამოებში, ზარბაზნებით ბრძოლაა. სოფ. ვინზარა, ტვერეჩსა და ანტონთან მტერმა იერიშები მიიტანა, მაგრამ მოიგერიეს.

—

შამპანში ზარბაზნებით ბრძოლაა. არგონებში, „285“ სიმაღლესთან, ნაღმებით ბრძოლა გრძელდება.

—

მორტჰომთან ფრანგებმა მტრის თხრილები ჩაიგდეს ხელში და წინ იწევენ.

—

ენის ჩრდილოეთით, 12 აპრილს, ფრანგებმა ვილ-ობუას მიდამოებში ჭალა იგდეს ხელთ და 158 გერმანელი ტყვედ წამოიყვანეს.

—

პარიზიდან მოსული ცნობით ბერძნები სერბიელთა ჯარს თავის მიწა-წყალზე გზას არ უთმობენ გასავლელად.

—

გერმანელებმა 19 აპრილს ორი გემი დაღუპეს.

# ბათომი

(დეპეშა საკუთარ კორესპოდენ.)

**აჭარელთა საქმის გარჩევა დაიწყო. გარეშე ხალხს სასამართლოში არ უშვებენ. საქმის გარჩევა დამცველებმა ასეთ პირობებში შეუძლებლად გამოაცხადეს.**

მ.

# ახალი ამბავი

✦ **დიდუბის ტაძარი** გუშინ ნაშუადღევის 4 საათზე დაათვალიერა მათ უმაღლესობამ დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ.

✦ **ირ. ევდოშვილს დღეს დილით ჩამოიყვანენ თბილისში.**

✦ **სოფლის დეპუტაცია.** სოფელ კავთისხევიდან 10 კაცისაგან შემდგარი საგანგებო დეპუტაცია ჩამოვიდა თბილისში და მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტში მივიდა შაბიამანის სათხოვნელად. კომიტეტს ვერავითარი გარკვეული პასუხი ვერ მიუცია დეპუტაციისათვის. კავთისხეველებს 300 დესიატინამდე ვენახი ჰქონიათ და უწამლოდ თუ დარჩა, არა თუ მოსავალი ეკარგება სოფელს, არამედ ვაზებიც განადგურდება.

✦ **სადეპუტატო საკრებულოს ბინა.** თბ. თავად-აზნაურობის საადგილ მამულო ბანკის გამგეობამ ბინა დაუთმო თბილისის სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს ახალ შენობაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე, ზემო სართულში. საკრებულო ბანკზე ადრე გადავა ამ ახალ ბინაზე, დაახლოვებით მკათათვის გასულს.

✦ **ახალგაზდათა გაწვევა ჯარში,** 25 აპრილს დანიშნული, 15 მაისისათვის გადაიდვა.

✦ **მისალოცი დეპეშა.** ქუთაისის ურთიერთ შორის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მინდობილობით ამ საზოგადოების თავმჯდომარის ბ-ნ აკოფაშვილისაგან დეპეშა მიიღო კულტურულ დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარედ გ ნ. ყაზბეგმა. ბ-ნი აკოფაშვილი სალამს უძღვნის კავშირს და უსურვებს ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველ ერის საკეთილდღეოდ.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების საჯარო კრება** დღეს 22 აპრილს გაიმართება საღამოს სრულ 8 საათზე სამკურნალო საზოგადოების დარბაზში. მწერალი **მელანია** წაიკითხავს მოხსენებას: „ზოგიერთი ადათ-ჩვეულება ქიზიყ-კახეთში“. შემდეგ—კამათი.

✦ **კრების გადადება.** მანდილოსანთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ განზრახულ სახალხო სეირნობისა და ლატარია ალეგრის მოწყობა, უნდა შეკრებილიყო საპათობიროდ და ერთმანეთ შორის შრომის გასანაწილებლად 23 ამა თვეს, მაგრამ ეს კრება სხვა დროისათვის გადაიდვა. კრების დრო გამოცხადებული იქნება გაზეთებში.

✦ **განყოფილების დაარსება.** დაბა ჩოხატაურის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე, რომ გახსნას განყოფილება საზოგადოებისა ჩოხატაურში. გამგეობა უკვე შეუდგა თადარიგს ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

✦ **მასწავლებელთა საზოგადოების ბიურომ** დაადგინა შუამდგომლობით მიმართოს თავად-აზნაურობას ფულით დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას დამფუძნებელ კრების საჭიროებათა გასაძღოლად მომავალ თიბათვეში.

✦ **ქართველ მოღვაწეთა პანთეონის** სასარგებლოდ წარადგინეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიში: ი. ხ. ყაზბეგმა 50 მან., ქ-ნ ე. გ. ყაზბეგმა 25 მან., ქ-ნ ე. ნ. ყაზბეგმა 30 მან. და ლ. მ. გედევანიშვილმა 3 მანეთი.

✦ **შეკითხვა.** ბავშვებისათვის მზრუნველი ქუთაისის საზოგადოების თავმჯდომარე ქ-ნი ეკ. მოსიძისა ეკითხება კულტურულ საზოგადოებათა კავშირის გამგეობას, აქვს თუ არა ჩვენს საზოგადოებას უფლება კავშირში წევრად ჩაწერისაო.

✦ **ქალაქის დუქნები.** ქალაქის თვითმართველობის დუქნები დღეიდან (22 აპრილი) გაიხსნება ნაძალადევსა, დიდუბესა, ავლაბარსა და პუშკინის ქუჩაზე. დუქნებში ჯერ-ჯერობით იქნება მხოლოდ შაქარი. 1 გირვანქა შაქარი გაიყიდება 22 კაპ., ე. ი. 2 კაპეიკით უფრო იაფად ვიდრე დაწესებული ნიხრით.

✦ **სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების** საორგანიზაციო ბიურომ დაადგინა 20 აპრილს: 1) სთხოვოს მუსულმანთა და სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებათ, ფულით დაეხმარონ მასწავლებელთა საზოგადოებას დამფუძნებელ კრების გასამართავად მომავალ თიბათვეში, 2) სთხოვოს „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს უსასყიდლოდ დაუთმოს კლუბის დარბაზი კრებებისათვის და 3) სთხოვს კახეთის რკინის გზის გამგეობას უსასყიდლოდ წამოიყვან-წაიყვანოს რკინის გზით კრებაზე დასასწრებლად კახეთის მხრის მასწავლებლები.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას** შემოუტანია 1914 წლის გიორგობისთვიდან დღემდის აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა საჭიროების შესამსუბუქებლად 185 ვაგონი საკვები და სათესლე მასალა.

**ოზურგეთი.**

უწმიდესი სინოდის განკარგულებით ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში გასათავებელი გამოცდა დაიწყება 18 აპრილიდან; დანარჩენი მოსწავლენი კი წლიური ნიშნებით გადაჰყავთ კლასიდან კლასში.

— როგორც იქნა ქ. ოზურგეთიც ეღირსება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების დაარსებას. 40 პირის ხელმოწერილი განცხადება უკვე გაეგზავნა მთავარ გამგეობას, რათა შუამდგომლობა აღძრას, სადაც ჯერ არს განყოფილების გახსნის ნებართვის ასაღებად.

— ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამ მოწოდებით მიმართა პროვინციის საზოგადოებათა გამგეობებს, რომ საზოგადოების წევრთ თითო დღის ჯამაგირი გადასდონ ომში გაწვეულ მასწავლებელთა ოჯახების სასარგებლოდ.

— ხმა დადის, უმაღლესი უქაზის თანახმად, ამ დღეებში გაემგზავრება ბათომს ოზურგეთის სამხედრო საკრებულო 1897 წ. დაბადებულ ახალგაზდათა მისაღებად ჯარისკაცებად.

— 16 აპრილს შუადღის 1 საათზე სუფსასა და ნატანებ შუა თავის მამულში მოჰკლეს გურიის ერთი მსხვილი მემამულეთაგანი თავადი ვანო გურიელი. იმავ საღამოს ამის გამო სუფსას გაემგზავრა მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. ავქ. აფაქიძე. მკვლელები კვალწმინდათ მიიმალნენ.

16 აპრილს დანიშნული ოზურგეთის საზოგადო საკრებულოს წევრთა საზოგადო კრება საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

# შაბიამანის გარშემო

რედაქციამ თავის წარმომადგენლიდან პეტროგრადში შემდეგი დეპეშა მიიღო:

**იმის შემდეგ, რაც „პეტროგრადის ვედომოსტ“-ში მოთავსებული იყო გაზეთ „საქართველო“-დან ამოღებული წერილები, რედაქციაში გამოცხადდა ფრიდონოვის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა: მე ვიყავი „საქართველო“-ს რედაქციაში, თბილისში ყოფნის დროს, წარუდგინე სხვა და სხვა საბუთები ფრიდონოვის გასამართლებლად და რედაქციაც დამეთანხმა, რომ ფრიდონოვი სრულიად უდანაშაულოა შაბიამნის საქმეშიო“. დაუყოვნებლივ მაცნობეთ რამდენათ შეეფერება სიმართლეს ფრიდონოვის წარმომადგენელის განცხადება. ამ საკითხით ძალიან დაინტერესებულია მიწათ-მომქმედების სამინისტრო.**

**ჯაფარიძე.**

ამის საპასუხოდ რედაქციამ დაუყონებლივ აცნობა თავის წარმომადგენელს დეპეშით პეტროგრადში, რომ ფრიდონოვის წარმომადგენელის განცხადება, ვითომც რედაქცია დაკმაყოფილებულიყოს იმ დაუსაბუთებელ პატარა განმარტებით, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის მე-56 ნომერში, 11 მარტს, სიმართლეს მოკლებულია. დღევანდლამდის დარწმუნებული ვართ, რომ შაბიამანი 12.700 ფუთზედ გაცილებით მეტი იყო შემოტანილი საქართველოში, მაგრამ სადღაც მიმალეს და როდესაც წამლობის დრო დადგა, მრავალ ჩარჩების შემწეობით წარმოუდგენელ ფასებში ასაღებენ. ამასთანავე რედაქციამ დაავალა თავის წარმომადგენელს რაც შეიძლება საჩქაროთ შეჰკრიბოს სამინისტროში ყოველივე ცნობები შესახებ იმისა, თუ სულ რამდენი შაბიამანი შემოვიდა ინგლისიდან არხანგელსკის ან სხვა გზით რუსეთში.

**რედაქცია**

# ფრიდონოვის შაბიამანი

ჯერ-ჯერობით რუსეთის პრესაში ფრიდონოვის პანამის შესახებ ჩვენ ბანს გვაძლევს **„პეტროგრადის ვედომოსტი“**. უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ბ. ველის წერილი, სადაც პატივცემული ავტორი ასე ახასიათებს ფრიდონოვის მიერ შექმნილ მდგომარეობას: კავკასიის ვაზი ერთ შემთხვევაში ძალიანა ჰგავს პეტროგრადის მცხოვრებს; უკანასკნელივით ვაზიც კავკასიაში მუდამ ავადმყოფობს და მას გამუდმებით წამლობა და მოვლა სჭირია, ვინ მოსთვლის რამდენი სნეულებითაა დაჯილდოვებული ეს ვაზი. ამ მრავალ სენის წამალი კი დღეს შაბიამანია.

უშაბიამანოდ თუნდაც ერთის წლით კახეთის დატოვება მევენახეობის სიკვდილს უდრის. შაბიამანი კახეთისათვის—პურია. ახლა ისიც საეჭვოა, ექნება კახელს პური, თუ შაბიამანი ვერ იშოვა? რუსეთს თავისი შაბიამანი არა აქვს. კახეთმა შემოდგომიდანვე დაიწყო შაბიამანის ძებნა. ქრისტეშობისთვეს ყველა წვრილი კრედიტის ამხანაგობებმა და სამეურნეო საზოგადოებებმა მეღვინეთა და მევენახეთა კომიტეტისაგან მოწერილობა მიიღეს, სადაც კომიტეტი სთხოვდა დაუყონებლივ ეცნობებიათ, თუ რამდენი შაბიამანი იქნებოდა მათთვის საჭირო. 1916 წელს, მასთანვე კომიტეტი ატყობინებდა, შაბიამანის მოტანა და დარიგება მინდობილი აქვს ფრიდონოვის ფირმას.

ამ წინადადებას ყველა სიამოვნებით შეხვდა. მევენახეები დამშვიდდნენ და ელოდნენ...

გავიდა იანვარი, თებერვალი, მარტი. შაბიამანი არსადა სჩანდა, თბილისში ჩამოვიდნენ მევენახეები შაბიამანისთვის.

გამოირკვა, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს გადაუცია ფრიდონოვისათვის 50 ათასი ფუთი შაბიამანი უბაჟოთ პირველ შეწამლისათვის. შემდეგისათვის ელოდნენ კიდევ 60 ათას ფუთს.

მევენახეები ისხდნენ და ელოდნენ. კომიტეტი არწმუნებდა: დამშვიდდით, ყველაფერი იქნება. ფრიდონოვი მალე მიიღებს და ყველას დაგაკმაყოფილებთო.

ორ კვირაზე მეტი მევენახეები ისხდნენ ქალაქში და შეჰყურებდნენ კომიტეტს. ბოლოს განუცხადეს, დაბრუნებულიყვნენ სახლში და რა წამს შაბიამანი მოვიდოდა მაშინათვე ყველას თავიანთ ხვედრს გაუგზავნიდნენ.

მევენახენი ამას არ დაყაბულდნენ და პირდაპირ ფრიდონოვზე მიიტანეს იერიში და მოსთხოვეს შაბიამანი. აქ მათ ახალი ამბავი დაუხვდათ·

ფრიდონოვმა გულგრილად განუცხადა, შაბიამანს მხოლოდ იმათ დავურიგებ, ვინც პირდაპირ ჩემგან დაიკვეთაო.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა უბედურობა დაატყდა თავზედ მთელ კახეთს. ამხანაგობების წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ არ იციან თუ რა უსვინდისოთ მოწყობილ საქმესთან აქვთ საქმე და ელიან, იმედობენ რო რასმე მიაწვდის ის კომიტეტი, რომელსაც ვერ გაუბედნია გულახდილად განაცხადოს თავის უილაჯობა, რომ ფრიდონოვი თვის ინტერესებისათვის სარგებლობს ამ კომიტეტით.

ერთხელ სოფლის წვრილ კრედიტის ამხანაგობამ გადასწყვიტა კიდევაც წმინდა წყალზედ გამოეყვანა ფრიდონოვი და წერილიც მოათავსა ადგილობრივ ქართულ გაზეთში. ამ წერილში ამხანაგობამ გამოაქვეყნა, რომ მიწათ მომქმედების მინისტრმა დაადასტურა და ნება დართო ფრიდონოვს გადაეცა ამ ამხანაგობისათვის 5000 ფუთი შაბიამანი იმ ფასებში, რომელიც დეპარტამენტმა გადასწყვიტა.

ამ წერილს ფრიდონოვმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ის ისევე ძველებურად აწარმოებს თავის საქმეს. შაბიამანი აქვს, მაგრამ თავის აგენტ—სომხებს ურიგებს, უკანასკნელნი კი ჰყიდიან მევენახეებზე. მაგრამ რა ფასებში? 8 მანეთიდან ფუთი 40—45 მანეთამდე ავიდა. შაბიამანი ძვირფას განძათ იქცა.

საქმე იქამდის მივიდა, რომ საგანგებო დეპუტაციაც კი ჩავიდა ქუთაისიდან მეფის ნაცვალთან. დეპუტაციას უნდოდა გამოერკვია, რა უფლებით გაჰყიდა ფრიდონოვმა ის შაბიამანი, რომელიც ინგლისიდან მთავრობის დახმარებით მოიტანა და რომელიც მხოლოდ მევენახეებისათვის უნდა გადაეცა.

მართლაც თავისთავად მრავალი კითხვები იბადება: ვისთვის იყო ასე საჭირო ფრიდონოვი? ნუ თუ მთავრობას არ შეეძლო პირდაპირ საქმე ამხანაგობებთან დაეჭირა. თუ ფრიდონოვმა შაბიამანი მთავრობის დახმარებით მიიღო, ნუ თუ მთავრობამ პირობები არ გამოარკვია და თუ პირობები გამორკვეული იყო, რათ არ ასრულებს მას ფრიდონოვი. ან იქნება მიღებულია ზომები, რომ მცხოვრებთ როგორმე ჩამოაშორონ ეს ვიღაცა ფრიდონოვი.

ასეთივე ისტორია განმეორდა გოგირდის შესახებაც. სიღნაღის მაზრაში ვაჭარს გ. ს. უყიდნია წვრილ წვრილად 5000 ფუთამდე გოგირდი, ფუთი 12 მანეთზე უფრო ნაკლებ.

თავდაპირველად ამ ვაჭარმა ეს გოგირდი 35 მანეთად გამოაცხადა ფუთი, შემდეგ კი 50 მანეთად.

ბოლოს ვაჭარს უფიქრია, უფრო ხელსაყრელია ტომრობით გაყიდოს გოგირდი და 6 ფუთიან ტომარაზე დაუდვია 500 მან.

საგულისხმოა აქ ის, რომ ეს ვაჭარი თვითონ კი არ ჰყიდის, თავის აგენტს აძლევს რამოდენიმე ტომარას და უკანასკნელიც როგორც მოისურვებს ისე ჰყიდის მცხოვრებლებზე. ნუ თუ არავითარი საშუალება არა აქვს მთავრობას დაიხსნას ეს ხალხი ამ თავაშვებულ ჩარჩებისაგან,—ამბობს დაბოლოს ბ. ველი.

# აჭარის უბედურება

„პეტრ. ვედომ.“ ეხება აჭარას და მის ბედ-იღბალს. იგი № 81-ში სწერს: 19 აპრილს აჭარელთა საქმე ხელახლად ირჩევა ბათომში.

ამ გვარივე გასამართლება წარსულში, რომელიც „პეტ. ვედ.“ იყო აღწერილი, წარმოადგენდა გაუგებრობას, რადგანაც უდანაშაულო მრავალი უბედურება აუტანია ამ ხალხს.

გრ. ვორონცოვ-დაშკოვის დროს აჭარლები თავიანთ მიწა-წყალზე უცხოთ გრძნობდნენ თავს. აჭარლები ქართველთა შტოს წარმოადგენენ, რომელთაც ნე-XI—XIII საუკუნ. ჰქონდათ მდიდარი ლიტერატურა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და ეკლესია და თავიანთი ბედი მე-18 საუკუნ. ნებაყოფლობით რუსეთს გადასცა. სწორედ ამ ისტორიულ შემთხვევას ყოფილ მეფის ნაცვლის გულში თანაგრძნობა უნდა გამოეწვია. დანამდვილებით კი სხვას ვხედავთ. ხალხს ხელოვნურად ჩამოართვეს მიწა-წყალი და რაღაც მიზეზისა გამო სახელმწიფო კუთვნილებად გადააქციეს. მაგრამ სალი ხალხის გრძნობა ვერ შელახეს. აჭარა საქართველოსკენ მიიწევდა და მის საშუალებით—რუსეთისაკენ.

შარშან იანვარში ბათომის ოლქში ოსმალთა შემოსევის დროს აჭარის მიწა წყალი სისხლით შეიღება და დიდათაც დაზიანდა.

მუსულმან-აჭარელთა სოფლები ბერძნების და ერთიც რუსების სოფლებია ჩართული. აჭარლები ქრისტიანთ დახმარებას უწევდნენ, რის გამოც მათ ოსმალებისაგან დიდი ტანჯვა გამოიარეს.

თუმცა აჭარლებში გამოჩნდნენ ისეთი პირებიც, რომელთათვისაც სულ ერთი იყო საითკენ გაისროდნენ თოფს მაგრამ [illegible] მცირე იყო. ოსმალები [illegible] მალე განიდევნენ, აჭარლების უბედურება კი გრძელდებოდა.

ყაზახთა ტანსაცმელებში გამოწყობილი სომხები, ბერძნები და სხვა ნაძირალნი მათ ღალატობას სწამებდნენ, არბევდნენ, დედაკაცთ აუპატიურებდნენ.

აჭარლები ნელ-ნელა დაუბრუნდნენ მიწა-წყალს და თავიანთ დარბევის მოწმედ გადიქცნენ.

მალე აჭარელთა „ღალატის“ გასამართლება დაიწყო. მერე რა დავინახეთ? ის, რომ 33 კაცში, ბრალდება მხოლოდ ორს წარუდგინეს: ერთი გაამართლეს, მეორე კი დასაჯეს.

ამ გვარად „ღალატი“ აჭარელთა მხრივ სიცრუვე გამოდგა.

19 აპრილს აჭარელთა „ღალატის“ შესახებ კვლავ სამართალია დანიშნული. რას მოგვცემს ეს? ყოველ მიუდგომელთა შორის ეს გულისწყრომას გამოიწვევს. იმედია, რომ ამით გათავდება უდანაშაულო აჭარელთა საქმეების გარჩევა. უავგუსტოეს უმაღლესმა თავადმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ აჭარელთა დეპუტაციას აღუთქვა დახმარება და საქმის გარჩევა.

ეჭვს გარეშეა მტკიცე სიტყვა მეფის ნაცვლისა, მისი პოლიტიკა შესცვლის და გაასწორებს წარსულ შეცდომებს და საწყალ აჭარელთ დაუბრუნდებათ, როგორც სახელი, აგრეთვე კეთილ-დღეობა.

# მასწავლებელ. ყრილობა

(პეტ. დეპ. ს.)

კიევში მასწავლებელთა ყრილობამ შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა: უარჰყონ საერთო განათლების სასწავლებელთან დაარსებულ გიმნაზიებში ძველი ენები და ლათინური ენა უკანასკნელ 4 კლასში დასტოვონ მხოლოდ მსურველთათვის. გამოითქვა სურვილი გიმნაზიის ინსპექტორთა თანამდებობის გაუქმებისა, რომელთა მაგიერობას კლასის დამრიგებელნი ასრულებენ. სარეპეტიციო მომზადების და მეორედ დარჩენის სურვილიც გამოსთქვეს. გადასასვლელი გამოცდა უნდა გაუქმდეს. უნდა გადაისინჯოს გეგმა სწავლისა საშუალო სასწავლებლებში. პედაგოგიურ საბჭოს ნება მიეცეს სახელმძღვანელოების არჩევისა. ცოდნის დასაფასებლად ნიშნების მაგიერ სხვა რამე წესი შემოიღონ. სასწავლებლებიდან სასწავლებლებში და კლასიდან კლასში გადასვლის დროს ნიშნები დარჩება. სასურველად სცნეს საექიმო ფაკულტეტთან დაარსდეს კათედრა ბავშვის ფსიხოლოგიისა. სასწავლებელთა ექიმების უფლება მასწავლებლების უფლებას უნდა გაუთანასწორდეს.

# სტუდენტთა გაწვევა ჯარში

(წერილი ხარკოვიდან)

გაიწვიეს ჯარში სტუდენტები პირველ და მეორე კურსისა დაბადებულნი 1893, 1894, 1895 წლებში. არ გაყავთ მხოლოდ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები და ბეითლები. ქ. ხარკოვში მათი გაწვევა მოხდა 13 აპრილს კენჭის ამოღებით, რომელიც მოხდა თვით უნივერსიტეტში მხოლოდ პრარექტორის და პროფესორთა მეთვალყურეობით. გარეშე მთავრობის წარმომადგენელი არავინ დასწრებია. წაიყვანეს 1000 სტუდენტამდის. მათში ქართველები ორმოცამდეა. კენჭს არავინ არ გაუნთავისუფლებია. მათ ამ დღეებში შეამოწმებენ და აგზავნიან სამხედრო სასწავლებელში, სადაც დაყოფენ ოთხ თვეს და მიიღებენ პრაპორშჩიკების ჩინს. მაისის შუა რიცხვებში გაიწვევენ სტუდენტებს საექიმო ფაკულტეტის მეოთხე კურსისას, რომელთაც ეხლა აქვთ სახელმწიფო გამოცდა, როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ მაისის შუა რიცხვებშივე გაიწვევენ სტუდენტებს მესამე კურსისას და აგრეთვე პირველი ორი კურსისას დაბადებულებს 1892, 1893, 1894 და 1895 წლებში. უნივერსიტეტში მოსულია ცნობა სამინისტროდან, რომლითაც ავალებენ რექტორს უნივერსიტეტისას დააჩქაროს რაც შეიძლება სახელმწიფო გამოცდა ყველა ფაკულტეტზე და წინადადება მისცენ უკანასკნელი კურსის სტუდენტებს ნულარ გადასდებენ შემოდგომისთვის სახელმწიფო გამოცდას და ეხლავე ჩააბარონ. გამოცდა უკვე დაიწყო, რომელზედაც თავმჯდომარეობს არა სამინისტროს მიერ დანიშნული სხვა უნივერსიტეტის პროფესორი, არამედ ადგილობრივ უნივერსიტეტის, ე. ი. თავისივე დეკანი ფაკულტეტისა. ასევე სწარმოებს გამოცდა რუსეთის ყველა უნივერსიტეტებში. საზოგადო გამოცდა წინანდელთან შედარებით გაცილებით იოლად მიდის, პროფესორები იოლად ეკიდებიან.

ი. უ—ი.

## შენიშვნები

### I მამითადები.

არავისთვის საეჭვო არ არის, რომ დღევანდელმა ომმა ეკონომიურად ისედაც დაქვეითებული ქართველი ხალხი, კიდევ უფრო დააქვეითა. სოფელი მუშა ხალხიდან დაიცალა, მხოლოდ მოხუცნი და ბავშვებიღა აწარმოებენ ხვნა-თესვას და სხვა საჭირო საქმეს. ამ დღეებში მომიხდა სოფელში ყოფნა და გულის შემწუხებელი სურათების მოწამე შევიქენ. წელში მოხრილი ბებრები, რომელთაც ცალი ფეხი სამარეში უდგიათ, გუთნის დედობას ეწეოდნენ. პატარა ბავშვები, რომელნიც ხნულში ძლივს მოჩანდნენ და უღელზე დაჯდომას ვერა ჰბედავდნენ, წინ უძღვოდნენ ხარებს, ზოგან უწინამძღვროდ ხნავდნენ. გუთნის დედას გული ვერ უთმენდა და ოროველას იწყებდა, მაგრამ მალე სწყვეტდა. ვინ იცის, იქნება ამ დროს მას უეცრივ აგონდებოდა თავისი მარჩენალი, რომელიც ომის ველზე იყო. სიმღერა მაშინ, როდესაც ის იქ იქნება სისხლისგან იწრიტება, შეუძლებელია. და მოხუცი კვლავ აწვება თავისი აკანკალებული ხელით გუთანს, ცდილობს „ღრმად გაუაროს კვალია“, მაგრამ ვეჭვობ „მგზავრს მასზე დარჩეს თვალია“. სოფლის მინდვრებში ჩვეულებრივი ყიჟინა აღარ ისმის, თითქოს ხორველას ჩამოუვლია და ყველა ამოუწყვეტიაო. ახლოვდება ზაფხული, ჰინახული შემოვა და სოფლის უმწეო მდგომარეობა კიდევ უფრო საგრძნობელი შეიქნება. სოფელს შველა უნდა, მაგრამ ვინ უნდა უშველოს, ან როგორ. მე მგონია, სხვისი იმედი ისე არ უნდა ჰქონდეთ, როგორც თავიანთი თავისა. ნათქვამი და გამოცდილია: ძალა ერთობაშიაო. საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ, განსაკუთრებით მღვდლებმა და მასწავლებლებმა, დაარწმუნონ მცხოვრებნი, რომ ისინი შეერთდნენ და შეერთებული ძალით, საერთოდ იმუშაონ, დღეს ერთის ყანა-სიმინდი აკარონ, ხვალ სხვისი და ასე შეერთებული ძალით არ აგრძნობინონ მეზობლებს მუშა ხელის სიცოტავე. ნიშნები ასეთი ერთი-ერთმანეთის შველისა მამითადობისა უკვე იყო აღნიშნული „საქართველო“-ში, მაგალითად. მცხეთის მხარის ერთ-ერთ სოფელში, რომლის მცხოვრებნი ორშაბათობით შეერთებული ძალით ეხმარებიან უმწეო მეზობლებს. ჩემის აზრით, მამითადობის მოწყობის იდეა რომ ფართედ გავრცელდეს ჩვენს ხალხში, ამ უკანასკნელის მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდება. ასეთ შემთხვევებში მაგალითს დიდი წამბაძველობითი მნიშვნელობა აქვს. მაშ მოვაწყოთ მამითადები!

ვას. ჯაფარიძე.

## ჯარისკაცის წერილი

(ბრძოლის ველიდან)

ორი წელიწადი სრულდება რაც ბრძოლის ველზე ვიმყოფები. იმ დღიდან მიტოვებული გვყავს ჩვენი ცოლშვილი უპატრონოთ, ღვთის ანაბარა. მე არ ვეხები ჩვენს გაჭირვებას, რაც დღე გვადგია, რადგანაც ძვირათ იქნება იმისთანა კაცი რომ არ იცოდეს გარემოება დღევანდელის დროის ჯარის კაცისა. მაგრამ ამ გაჭირვებასთან კიდე უფრო ცეცხლს გვიკიდებს საწყალი ჩვენი უპატრონოთ მიტოვებული ცოლშვილი. რადგანაც დიდ განსაცდელში არიან. თუ უპატრონობა, და თუ შიში, დღე და ღამე და სხვა. ამდენს უბედურებას ზედ დართობია ქურდობა და ავაზაკობა. ვინღა ეწინააღმდეგება, ბურთი და მოედანი იმათ დარჩათ. იციან ჩვენ სად ვართ, მიდიან თავისუფლათ ეს ვაჟბატონები და როგორც თავის ოჯახში ისე გააქვთ და იპარამენ. ამ ორ წელიწადში ძლივს მელირსა სახლში გამიშვეს სახემწიფო საქმისათვის. მოვხვდი სახლში სწორეთ აღდგომა ღამეს, ლიტონიაზე. მზე არ ამოსულიყო, როცა სახლში მივედი მოულოდნელად. ჩემი ოჯახობაც ყველა ზეზე დამხვდა. დამხვდა ყველა, მაგრამ ისე არა როგორც დავტოვე. სხვა დალი დამჩნეოდათ. მაგრამ ვსთქვი მადლობა ღმერთს, ჩემს კერაზე ჯერ ცეცხლი არ გამქრალა მეთქი. მომეგებენ დიდის ალტაცებით. სიხარულის ტირილიც ბევრი იყო. მაგრამ იმან უფრო მამიკლა გული, როცა ბავშვებმა უმალ ის მამახარეს ჩვენ ხორცი ცოტა გვაქვს. ინდაური და ქათმები დავასუქეთ სააღდგომოთაო და გუშინ ღამ ქურდებმა მოგვპარესო. ის დღე გავითენეთ. მეორე დღეს ვიყიდე ნახევარ ფუთი ხორცი და დაუტოვე. და იჩივლეს, ერთი ძროხა გვყამს და იმასაც მოგვპარამენო.

ასეთ განსაცდელშია ჩვენი ცოლშვილი. ვსთხოვთ ბოქაულს, უბრძანოს ადგილობრივ საზოგადოების მამასახლის, რომ მიაქციოს ყურადღება და ნუ იქნებიან ისედაც დატანჯული ჩვენი ოჯახობა იმ უსაქმო ვაჟბატონებისაგან შიშსა და განსაცდელში. სხვათა შორის, როგორც გადმამცეს, არ აძლევენ სიმიდის ჯარში გაწვეულ ჯარისკაცთა ცოლშვილის სესხად. მიზეზი ის არის რომ, ისინი დახმარებას ღებულობენო. მართალია დახმარება ეძლევათ მაგრამ რატომ არ კითხულობენ რამდენი ეძლევათ და ან ჰყოფნით, სყიდვაც რომ იყოს, არც მყიდველი ჰყავთ. ამაზე ვსთხოვთ ვინმეს, აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ იმათაც მისცენ სიმინდი სესხად, რაც შეიძლება ჩქარა რადგანაც დიდ გაჭირვებაში არიან.

სხვათა შორის ბატონო რედაქტორო თქვენი გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას ვწირავ მარიამ მესხს მაჭარაშვილის ასულს, ილარიონ ივანესძე მაჭარაშვილს, როსტომა მესხს და იოსებ ჭილლაძეს, რომ მთელი ჩემი ოჯახობა გადაარჩინეს სიკვდილს ყელჭირვებისაგან. რომელიც არ დარიდებიან ამ საშიშო სენს და დღე და ღამე, მათთან ყოფილან და უნუგეშებიათ.

ჯარის კაცი ილიკო მაჭარაშვილი.

## წერილი აჭარიდან

(მთავრობის სკოლები აჭარაში)

ბზობის წინა დღეს, ლაზარობას, სააღდგომო არდადეგების გამო აჭარის მთავრობის სკოლის მასწავლებლებმა თავი მოიყარეს ხულოში. საზოგადოთ მთელი აჭარა ინტელიგენტისათვის ყრუ ადგილია, კვირაში მხოლოდ ორჯერ შეიძლება გაზეთის მიღება და ისიც საფოსტო სადგურებში (აჭარის წყალი, ქედა, ხულო). სასოფლო სკოლის მასწავლებლების უმეტესობა კი სადგურებს დაშორებულია 20—30—40 ვერსით, მომწყვდეულნი არიან მიუვალ ყრუ სოფლებში და ამის გამო რამოდენიმე თვის განმავლობაში მონატრულნი არიან ინტელიგენტის ნახვას, მასთან საუბარს. გაზეთი თუ რომელიმეს აქვს გამოწერილი (და იგიც ერთი) ღებულობენ იასაულის საშუალებით კვირაში ერთხელ და იშვიათად ორჯერ. ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიამოვნებას იგრძნობენ ეს სოფლის ჩუმი მოღვაწენი, როცა მუშაობიდან დაქანცულები კვლავ იხილავენ ქვეყანას, იშოვნიან მოსაუბრეს და ლაპარაკ-მასლაათით გულს მოიოხებენ.

ზემოთ აღნიშნულ დღეს ხულოში ჩამოვიდა ზემო აჭარის სკოლის ოთხი ახალგაზდა მასწავლებელი. ხულოში არის საფოსტო განყოფილება, ორკლასიანი სკოლა (სამი მასწავლებლით), საექიმო პუნქტი (ექიმი, ფერშლები, ბებია ქალი), ოლქის უფროსი, მღვდელი, აგრონომი, საქველმოქმედო საზოგადოების მეფუტკრე და ოსტატი, ამ რიგად ხულო აჭარის პარიზია. ახალგაზრდა მასწავლებელი სტუმრები, თითქმის ტყვეობიდან ახლად განთავისუფლებულნი არიანო, მოსვლისათანავე აჭყლოპინდნენ, მხიარულებას მიეცნენ, სავსე მთვარით გადაკაშკაშებულ ხულოს კეკლუც გორაკზე გაისმა სტუმარ-მასპინძელთა შეერთებული სიმღერა. როცა მათთან სიმღერა-გართობით გული ვიჯერე მერე სათითაოდ გამოვკითხე მათი სკოლის ამბავი და რადგან ეს არ მიმაჩნია ჩვენი მკითხველისათვის ზედ მეტ ამბავად, ამიტომ ვისწრაფვი გაცნობოთ.

ომამდე აჭარაში იყო სულ 7 სკოლა. ამათში ხულოს ერთი სკოლა ყველაზე უწინ არის დაარსებული (ამ 14 წლის წინად) დანარჩენი კი იყო ქვედა აჭარაში სახელდობრ: აჭარის წყალზე (ხერთვისის) მარადიდის, მურღულის, მახუნცეთის, ქედის და მერისის. ომისა და სოფლების განადგურების გამო დღეს აღარ არის: აჭარის წყლის, მარადიდის და მურღულის სკოლები. მაგრამ ამ საშინელმა ომმა აჭარლებზე დიდი გავლენა იქონია. აჭარლები მიხვდნენ, რომ უსწავლელად დარჩენა არ შეიძლება, შეიგნეს, რომ მათთვის აუცილებელია ქართული წერა-კითხვის შესწავლა და ქართველებთან დაახლოვება. ამ მდგომარეობა-შეგნებით (აჭარლების) მარჯვეთ ისარგებლა ხულოს სკოლის მაშინდელმა მასწავლებელმა აჭარლების დიდათ მოყვარულმა ბ-ნმა სოსო მელიქიშვილმა, რომელმაც ზემო აჭარლებს გაახსნევინა (წასული წლიდან) სკოლები შემდეგ სოფლებში: თხილვანაში, ოლადაურში, ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძეებში და ქვანაში. ყველა სკოლებს მთავრობა ინახავს თავისი ხარჯით, ასე წარმოიდგინეთ შენობა და ნავთსაც მთავრობა ყიდულობს, სოფელი მხოლოდ ვალდებულია სანამ მთავრობა სკოლის შესაფერ საკუთარ შენობას ააგებდეს, დაუთმოს სკოლის ბინა და მისცენ საკოლოდ სკამო მიწა.

წინად ამ ომამდი აჭარაში მხოლოდ აჭარის წყლის სკოლაში ასწავლიდნენ ქართულს სავალდებულოდ დანარჩენ სკოლებში აკრძალული ხილი იყო და თუ ზოგიერთი მასწავლებელი მაინც ასწავლიდა, ასწავლიდა ფარულად და ეს მათ გმირობას მიეწერება. ახლად გახსნილ სკოლებში (უმეტესობა გახსნილია წასული წლის გიორგობისთვიდან) მთავრობას არც უბრძანებია და არც დაუშლია ქართულის სწავლება. ასე წარმოიდგინეთ მასწავლებლებს სკოლისათვის შეუძენიათ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და ეგ მომხდარა მთავრობის ხარჯით და ინსპექტორის ნებართვით. ახლად გახსნილ სკოლებშიაც მასწავლებლები, გარდა ერთი დიოკნისის სკოლისა, ყველგან ქართველებია და მაშასადამე ყველგან ქართულს ასწავლიან, გოგებაშვილის მეთოდით.

დიოკნისის სკოლაში მასწავლებლად არის სპარსელი ბ. ვექილოვი და მისი მეუღლე ტომით რუსი, არც ერთმა ქართული არ იცის, მისმა მოწაფეებმაც არც თათრული და არც რუსული ენა არ იციან და თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლებათ ასეთ მასწავლებლებს ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ იქ, სადაც პროტექციონიზმია გამეფებული ყველაფერი შეიძლება. ამ ცოლქმარსაც ძლიერი მფარველები ყავთ თურმე (ქმარს მფარველობს, როგორც მონათლულს („ქირვა“) ბ. ინსპექტორი, ცოლს კი ქუთაისის ყოფილი გუბერნატორი პუტულოვი) და ესენიც აქ დროებით 30—40 მოწაფეს „ასწავლიან“.

**თხილვანის სკოლა.**

თხილვანა ხულოდან 43 ვერსზეა ყარსის ოლქის საზღვარზე, აღმოსავლეთით აკრავს ფოცხოვი. აქ ქართული ენა ნაკლებ იციან. სკოლა მეოთხე თვეა არსებობს. სკოლაში სწავლობს 25 მოწაფე ვაჟი (ქალი არც ერთი) მასწავლებელი არის თ. დოლიძე, რჯულის მასწავლებელმა ხოჯამ ქართული არ იცის. დოლიძე მუყაითი მასწავლებელია. ის წინადაც მსახურებდა აჭარაში (აჭარის წყალზე). ნასადილევს ასწავლის დიდრონებს. ჰყავს 10 მოწაფე, რომელთა შორის ცოლიანებიც ურევია, უკვე კითხულობენ გაზეთს, მაგრამ მასწავლებელი ღებულობს მხოლოდ „აზრს“ და ისიც ერთ ნომერს, რომელიც მსურველთ არ ჰყოფნით. სოფელი საშვალო შეძლებისაა. სულ 70 კომლია. მასწავლებლის სიტყვით, თხილვანას ახლოს, 4 ვერსზე არის სოფელი ხიხა ძირი (ციხე „ხიხა თირის ძირი“) იქაურ ხოჯას ჰყოლია 45 მოწაფე და დიდი კაი საქმე იქნება თუ იქ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება დაარსებდეს სკოლას. იქაურ ხოჯას ქართული სცოდნია და კიდეც მოწადინებულია იქ გაიხსნას ქართული სკოლა.

**ოლადაურის სკოლა.**

სოფ. ოლადაური სხალთის ხეობაშია, ხულოდან 20 ვერსზე. სკოლა დაარსებულია ქრისტეშობისთვიდან. სწავლობს 20 ვაჟი. მასწავლებლად არის ახალგაზრდა ილ. ნაცვალაძე, რომელიც დიდრონებსაც ასწავლის. მასწავლებლის სიტყვით პატარა აჭარლებს სწავლა დიდათ უნდათ, მაგრამ მშობლებს სკოლაში არ შეყავთ—ოჯახურ საქმეს არ აცდენენ. სჯულის მასწავლებლად არის მთელ აჭარაში კარგად ცნობილი ხოჯა ნური ეფენდი ბერიძე, რომელიც სკოლის წარმატებას დიდათ უწყობს ხელს, სკოლაში მისი ვაჟიც სწავლობს და გადაწყვეტილი აქვს შვილს სწავლა გიმნაზიაში გააგრძნობინოს. ნური ეფენდი ყველას ეჩიჩინება შვილები სკოლაში აღზარდეთ და ქართველებთან დაახლოვება ეცადეთო.

**ფაჩხის სკოლა.**

ს. ფაჩხაც სხალთის ხეობაშია, ხულოდან 16 ვერსზე. სკოლა არსებობს გიორგობისთვიდან. მასწავლებელი მარ. ბიბინეიშვილი ახლად განწესებულია, ჰყავს 20 მოსწავლე ვაჟი. დიდრონებს წერა-კითხვა ასწავლა 4—5 კაცს.

**ადაძის სკოლა.**

ს. ადაძე ღორჯომის ხეობაშია, ხულოდან 16—17 ვერსზე. საზოგადოთ მთელი ღორჯომის ხეობა მდიდარია, აჭაურები მიდიან სამუშაოთ მყვირალის მთაში. მდინარე მყვირალი მტკვარის ერთვის ახალციხეში, მყვირალით მტკვარში ჩააქვთ ტყის ხეები. ამ ხეობაში ითვლება 17 სოფელი: ადაძე, ტვნაძე, მახალაშვილი, წინწკალაშვილი, გიორგაძე, ლაბერიძე, მინდაძე, ხაზროვანიძე, დავლაძე, ბუძლაური, აგარა, საციხური, ირემაძე და ვანაძე. ყველა ამ სოფლებში ითვლება 500 კომლამდი.

სკოლა დროებით მოთავსებულია ღორჯომის შესანიშნავ და იშვიათ ჯავეს „მედრესეში“. მასწავლებლად აქ არის ახალგაზრდა მხნე მასწავლებელი ბ. ი. უსუფაძე. სწავლა დაუწყია 22 გიორგობისთვიდან, პირველად ჰყოლია 60 მოწაფე. დღეს ჰყავს მხოლოდ 34 ვაჟი—7—14 წლისა. აქ იცის დიდი თოვლი და ზამთარში უგზოობის გამო მიუტოვებიათ სკოლა. ზოგიც ახლა, მინდვრის მუშაობის დაწყების გამო, დასთხოვია. მოწაფეთა ნიჭით მასწავლებელი დიდი კმაყოფილია (საზოგადოთ ყველა მასწავლებელი ამ აზრის არის აჭარელი ყმაწვილების შესახებ). მასწავლებელს მთელი ხეობის დიდი ნდობა და სურვილი აქვს დამსახურებული მისგან წერა-კითხვა უსწავლია 20 დიდს, მათ შორის ერთ ხოჯას. განაჩენის ძალით სოფელმა უნდა ააგოს სკოლის შენობა და ბინაც უნდა დაუთმოს, მაგრამ, სამწუხაროთ, ამის უარს ამბობენ ზოგიერთი შეძლებული—ალიები, მაგრამ იმედია ღორჯომლები თავს არ შეირცხვენენ და მათ დიდებულ ჯამებს რომ შეშვენდება სკოლის შენობასაც ისეთს კარგს ააგებენ. აქ ხე-ტყე აუარებელია და ეგ მათთვის არაფერი გასაჭირია.

დაგვრჩა ახალ სკოლებში **ქვანის სკოლის** ამბავი. ამ სკოლის მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ მასწავლებლად არის გორის სასტატო სემინარიელი სვანი ლიპარტიანი, რომელიც იმედია თავის მოწოდებას გაამართლებს.

**ხულოს სკოლა.**

როგორც წინად აღვნიშნე ხულოს სკოლა აჭაური სკოლების მამათმთავარია. პირველი მასწავლებელი აქ იყო ბ. ალ. მგელაძე (ბათომის ქართული სკოლის მასწავლებელი), რომელიც აჭაურებს ახლაც ტკბილად ახსოვთ. რამოდენიმე მისი ნამოწაფარი ახლა ქართულ გაზეთებსა და წიგნებს კითხულობს. ქართულ ენას მაშინ ბ-ნი მგელაძე „კონტრაბანდით“ ასწავლიდა და ამისათვის კიდეც დაისაჯა. ამ ჟამად ეს სკოლა ნორმალურ სკოლად ითვლება. სკოლაში სწავლობს 61 მოწაფე (მათში 7 ქალი) მასწავლებლებათ არიან: ლ. კვიტაიშვილი ქ. ლ. ან. გელაზაროვი და ერთიც რუსი-კოჟხოვი. წელს მეორე კლასს ასრულებს სამი ახალგაზრდა, რომლებიც რუსულს თავისუფლად ლაპარაკობენ, მაგრამ ქართულს კი „დედაენას“ ჩათვლით კითხულობენ, მაგრამ ეს ახლანდელი მასწავლებლების ბრალი არ არის.[1]

აპ. წ—ძე.

[1] ქვემო აჭარაში ბ-ნ ლევარსი მენაბდის წყალობით ახლად გაიხსნა სკოლა სოფ. ზუნდაგას, მასწავლებელი ქართველია. აპ. წ.

## დაბა-სოფლები

**ქიზიყი.** საერთაშორისო ომმა არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი ხალხი: ოჯახის ბურჯები ცხრა მთას იქით მტერთან საბრძოლველად გაიწვიეს და მით ჩაგვაგდო უმწეო მდგომარეობაში.

რამდენი დრო გადის, იმდენად უფრო მწვავდება ჩვენი ცხოვრება. უფრო ცუდი ელფერი ეძლევა და იხვევა შავ ბურუსში. სწორედ ჩვენზეა ნათქვამი: საწყალს კაცს ქვა აღმართში დაეწევაო.

ასტყდა ომი და თან მოჰყვა ცუდი ამინდები. ჯერ შარშან გაზაფხულზე განუწყვეტლივ წვიმებმა მინდორშივე მოგვისპო სარჩო საზადებელი, თუმცა ეს მოვლენა იმასაც უნდა მიეწეროს, რომ მუშა ხელი ჩვენში არ მოიპოვებოდა, რამაც ცუდი ნაყოფი მოგვიტანა.

ქიზიყელები იმ იმედით აღჭურვილნი, რომ ღვინის და საქონლის შემოსავალი უზრუნველყოფს ჩვენ ცხოვრებასაო არ გამართლდა: უწამლობისაგან მევენახეებს ისეთი დღე დაადგათ, რომ ღვინის მოსავალს ვინ ჩიოდა, ბევრს ვენახები ძირიან ფესვიანად გადაუხმა. ამას მერე მოჰყვა გვალვიანი ხმელი წელიწადი. ჩამოვიდა ცხვარი მთიდან ბარში და ჰაერიდან მოხიბლულმა ბალახმა ათასგვარი სენი გადასდო ცხვარს და იწყო ჟლეტა. ბევრი მეცხვარე რამოდენიმე ათასის პატრონი ორმოც-სამოცი ცხვრის მეპატრონედ გარდაიქცა, ხელი დააბანინა უბედურობამ. ამაზე ზედ დაერთო მუშა საქონლის რეკვიზიცია და პირში ჩალა გამოვლებული დავრჩით.

ყველას კარგად მოეხსენებათ, რომ დღეს ორთქლმავლისა და ელექტრონის ხანაში ჩვენ ისევ ადამის დროის სახნის-გუთნის საშუალებით ვამუშავებთ ჩვენს ალაგებს, რისთვისაც საჭიროა არა ნაკლებ რვა-ცხრა უღელი საქონელი, რაც ჩვენ შორის აღარავის არ მოეპოვება. წლევანდელ გაზაფხულსაც კარგი პირი ვერ უჩანს; ამ ჟამად ქიზიყში წითელა მძვინვარებს და მოზარდ თაობას უსპობს წუთი სოფელს.

ვაჭარ-ჩარჩები თავისუფლად თარეშს განაგრძობენ. საჭიროა რაც კი შეიძლება მალე ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს ჩარჩების თავისუფალ და უსაზღვრო თარეშს.

ქიზიყი ათასგვარ გაჭირვებას განიცდის ᲓᲐ ითხოვს დახმარებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქველმოქმედო საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და დახმარებას გაუწევს ქიზიყს.

ვ. ათანელიშვილი.

**სოფ. ასურეთი.** (თბ. მაზრა). სოფელი ასურეთი ქ. თბილისზე დაშორებულია 38 ვერსით. 100 წლის წინათ ტყით დაფარული მიდამოები—ამ ჟამათ გაშენებულია მშვენიერი ორსართულიანი სახლებითა, საუკეთესო ჯიშის ზვრებითა და ბაღებითა, რომელსაც შუაზე ჩამოურბის პაწია მარდი მდინარე—ასურეთი. ეს მდინარე ჩაურბის სხვა სოფლებს და მაგალითს აძლევს ასურელებისას, რომ მათ წაბაძონ დაუზარებელი შრომითა და მამა-პაპათაგან ნაანდერძევი მიდამოები გაამშვენიერონ და შემდეგ მომავალ თაობას უანდერძონ.

1814 წელს უმაღლესმა მთავრობამ გერმანიის მოახალშენეთ (რიცხვით 72) ნება დართო, რომ ამ ადგილზე დასახლებულიყვნენ და აქ მეურნეობისათვის ხელი მიეყოთ. იმ დღიდან დაწყებული ხსენებული მოახალშენენი თავის საქმეს ერთგულათ ეპყრობოდენ. ოჯახობას ხელი მოჰკიდეს, დაიწყეს ბაღებისა და ზვრების გაშენება, საქონლის მოშენება და სხვა, რაც შეგნებული ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ ხნის განმავლობაში დააარსეს საკუთარი ორკლასიანი სასწავლებელი, საკრედიტო დაწესებულება და ახალგაზდობას ხელს უწყობენ თვითგანათლებისა და თვითგაცნობიერებისათვის. დღეს სოფელ ასურეთში გერმანელთა რიცხვი 270 კომლს აღემატება. თუ არ ვიქონიებთ მხედველობაში იმ რამდენიმე ათეულ კომლს, რომელნიც თავის ნებით გადასახლდენ სოფ. გრეინდფელდში. არის აგრეთვე რამდენიმე ქართველი მოსახლე, რომელნიც მშვენივრათ ლალაპარაკობენ გერმანულად და მათი ბავშვები სწავლობენ მათს სასწავლებელში.

ამ სოფელში არ არის ისეთი მოსახლე რომ საკუთარი ზვრები არ ჰქონდეს. ვენახს კარგად უვლიან და საუკეთესო ღვინოს აყენებენ. თითო ოჯახს საშუალო რიცხვით მოსდის 800—1000 ფუთამდე ღვინო და კარგ ფასებშიაც ჰყიდიან.

ასურეთელებს მოჰყავთ აგრეთვე პური და კარტოფილი. ძროხის რძისაგან ამზადებენ საუცხოვო კარაქს და მიაქვთ ქალაქში. აქ ახლო სოფლებიდან ხშირად გადმოდიან გლეხები და მეურნეობას სწავლობენ...

270 კომლიდან მომხმარებელი საზოგადოების წევრად ითვლება 240 კომლი. ამ გვარათვე აქვთ დაყენებული ვაჭრობა [illegible] საქმე, რაც აუცილებელი [illegible] თუ იმ კუთხის ქონებრივ გაღონიერებისათვის.

ამ რამდენიმე ხნის წინად ასურელებს განკარგულება მოუვიდათ, მიატოვონ ადგილი და სხვაგან გადასახლდენ. ასეთმა განკარგულებამ ყველა აატირა, საქმეზე გული აუცრუვა.

ამ სოფელში დარჩენის ნება ეძლევათ ღვინობისთვის დამლევამდის. შემდეგ კი უნდა აიყარნენ.

ნა—მი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | საფ. | მ. | 9 | . | 8.53 | სალ. |
| „ | საფ. | „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | . | 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | . | 9.30 | სალ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | . | 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |


წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვასრულებთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, საუკეთესო მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მემრეწველოების“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.